


1960



საქართველოს
საზოგადოებრივი



პიონერი 12
1960

სანახლწლო სიმღერა

ტას ფიფქები ქათქათა
ცვივა, ცვივა ფართქალით.
ძველი წელი გათავდა,
დგება წელი ახალი.

დგება წელი ახალი,
ვგუნდაობთ და ვგუნდაობთ.
შარშანდელზე მაღალნი
ვხვდებით ამ წელს უდაოდ.

ვხვდებით ახალ წელიწადს,
მრავალ ახალს ვპირდებით.
სწავლას დავეწაფებით!
უკეთესნი ვიქნებით!

ვით ახალწლის თოვლია,
აგრე ვშინდად დავრჩებით,
საყვირი და დოლია
ჩვენთვის ამის თავდები,

ტას ფიფქები ქათქათა
ცვივა, ცვივა ფართქალით...
ძველი წელი გათავდა,
დგება წელი ახალი!

ლალ სულაბაიძე

წინ, წინ სამშობლო მხარე!

წინ, წინ სამშობლო მხარე!
ჩვენ წინ მიგვიძღვის წრფელი
ის ოქტომბერი, რამაც
შესძრა მსოფლიო მთელი...

მიმოიხედე ირგვლივ, —
არის განძების თოვა:
ვინ მოამზადა ამდენ
ღირებულებათ გროვას?!

მარად ბრწყინვალეს, დიადს,
მარად სპეტაკს და ხალასს,
ვუძღვნათ ქებათა-ქება
ხალხის სულიერ ძალას!

დროშა დიდებული,
გაბრწყინებული, სრული,
აეწიოთ უფრო მაღლა
ხალხის სული და გული!



წინ, წინ სამშობლო მხარე!
ჩვენ წინ მიგვიძღვის წრფელი
ის ოქტომბერი, რამაც
შესძრა მსოფლიო მთელი!

ბალაჯიონ ვაბიკა

ს ა მ კ რ ტ ვ ე ლ ო ს ა ლ კ კ
ც ე ნ ტ რ ა ლ უ კ ი კ ო მ ი ტ ბ ი ს ა
დ ა ვ . ი . ლ ე ნ ი ნ ი ს
ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს ნ ო რ ჩ
პ ი ო ნ ე რ თ ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს
კ მ ს კ უ ბ ლ ი კ ა უ რ ი ს ა ბ ა ჯ ო ს
ქ ო ვ ე ლ თ ვ ი უ რ ი ს ა ბ ა ჯ ო ს
უ ლ რ ა ნ ა ლ ი



დ ე კ ე მ ბ ე რ ი
1960


რედაქტორი რევაზ მარგინი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე,
რ. ელანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი),
მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი
(სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის წელი
XXXIV

პ ი თ ე რ ი

მაგროსოვის
სახელოვის
რაზმულში

რეპორტაჟი თბილისის
მე-10 სკოლიდან



საბავშვო მანქანა ხმაურით შეგ-
რიალდა თბილისის მე-10 სკოლის
ეზოში. აღექვანდრე მატროსოვის
სახელობის რაზმეულის პიონერები
ყოფილ-ხივილით შემოეხვივნენ კაბი-
ნიდან გადმოსულ მძღოლს და სე-
ტყვასავე დააყარეს საყვედურები,

ამდენი რად დაიგვიანეო. იმასაც
თავის გასამართლებლად ბევრი არა
ეთქმოდა რა, დამნაშავეის ღიმილით
გადახედა ირგვლივ სალტესავით
შემორტყმულ პიონერებს: მართა-
ლია დავიგვიანე, მაგრამ ახლა,
ვიდრე თქვენს მიერ შეგროვილ ჯა-
რთს მთლიანად
არ გადავზიდავო
ფხვს არსად გა-
დავდგამ თქვენ-
განაო. გახარე-
ბული პიონერები
საქმეს შეუდგ-
ნენ. სწრაფად
ივხებოდა ლი-
თონის ჯართით
მანქანის ძარა.
რაზმის საბჭოს
თავმჯდომარე მ,
თამაზ წიკლაურ-
მა, წუთით შეის-
ვენა და სიამა-
ყით გახედა თა-
ნარაზ მეღებეს;
აგერ, ლილი მჭე-
დლიშვილი, მან

80 კილოგრამი ლითონის ჯართი
შეაგროვა. იქით, საწოლის თავს
რომ ჩახტიდებია და მანქანისკენ
ევიდება, ნათელა ბურნაძეა, მის
ანგარიშზე 70 კილოგრამი ჯართი
ითვლება.

— აბა, მიხო, მოდი მიშველე,
თორემ მე მართო ამას ვერ ავზი-
დავ.

— ეე, რა უშნო ხარ, ჯუმბერ,
ამას ორი კაცი რათ უნდა! გამეცა,
გამეცა. — და მიხეილ კასრაძემ
მწყობრიდან გამოსული რომელიღაც
მანქანის ვეება დეტალი ერთი აკვ-
რით მხარზე შეიგდო და მანქანის
ძარასაკენ მძიმე ნაბიჯებით გასწია.

— ყოჩაღ, მიხო! — აღტაცებით
შესძახა თამაზმა, მაგრამ მერე მის
სახეზე სევდა აღიბეჭდა და ხმადაბ-
ლა ჩაილაპარაკა: — ეჰ, მიხო, მიხო,
ნეტა სწავლაშიც ისეთივე მარჯვე
იყო, როგორც შრომასა და ქართულ
ქილაობაში ხარ.

— მერე და, რითი დავენმარეთ
ჩვენ მას? — გამოეხმაურა იქვე მო-
ფუსფუსე ლილი მჭედლიშვილი.

— მართალი ხარ, ლილი. მესამე
საფეხურის პიონერებს ეს ამბავი
არ გვეპატიება. რაზმში აკადემიუ-
რად ჩამორჩენილი არც ერთი პიონ-
ერი არ უნდა გვყავდეს, — გადაწ-
ყვითეს მათ და ჩვენც გვჯერა, რომ
პიონერები ყოველ ღონეს იხმარენ,
რათა მიზანს მიაღწიონ.



მთელი გულსყურით ნა-
ტავს ზ. ფალიაშვილის
პორტრეტს მერაბ მღებრიშ-
ვილი.

გამოვზრდით 100 ფრთა ქათამს და ამდენივე მტრედს, — თქვეს პიონერებმა და საქმეს შეუდგნენ.

ნოდარ პაპოშვილის „გიორგი სააკაძე“ უსათუოდ მოეწონება მნახველს.

პიონერული ორწლედის სტარტის აღების დღეს, სხვებთან ერთად, მე-10 სკოლის პიონერებიც დადგნენ სტარტზე. რაზემეულმა საზეიმო ვითარებაში იკისრა გამოზარდოს 100 ფრთა ქათამი და ამდენივე მტრედი. ამ საქმეს მეორე საფეხურის პიონერებმა მოჰკიდეს ხელი. მართალია, მათ ჯერჯერობით მან ქათამი ჰყავთ გამოსაკვები, მაგრამ უნდა ნახოთ, რა მზრუნველობით უვლიან მათ ნათელა ჯავახიშვილი, ელდარ მარსურაძე, ნანული კარუნიშვილი და სხვები. აგერ, ზიზი მუნიგულაშვილს ცოცხი მოუმარჯვებია და გულდაგულ ასუფთავებს საქათმეს, იქით ნათელა ფუსფუსებს. ელდარმა სათლით წყალი მთარბენინა, ნანულიმ სიმინდის მარცვალი დაუყარა თოვლივით თეთრ ქათმებს და ისინიც დიდის გულმოდგინებით კენკვას შეუდგნენ.

ამას წინათ, მეორე საფეხურის პიონერებმა შეხვედრა მოუწყეს რაიონის მოწინავე ადამიანებს. ძველმა ბოლშევიკმა, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშამ ვლადიმერ ტყემელაშვილმა პატარა მასპინძლებს რამდენიმე ეპიზოდი უამბო თავისი რევოლუციური მოღვაწეობიდან.

ყურადღებით უსმენდნენ პიონერები სახელოვან მჭედელს, უმაღლესი საბჭოს დეპუტატს; კონსტანტინე ილურიძეს. მეორე საფეხურის პიონერებმა ახლა მის შესახებ თითქმის ყველაფერი იციან. იციან, თუ როგორ დაიმსახურა ორჯერ ძია კონსტანტინემ მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი და როგორ გახდა იგი სოციალისტური შრომის გმირი.

არანაკლები ინტერესით მოუსმინეს პიონერებმა იური გუგუჩიას, რომელიც ოქროს მედლით მივიდა სასკოლო მერხიდან წარმოებაში და, ახლა, შრომასთან ერთად, წარმატებით სწავლობს თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

მთელი გატაცებითა და სერიოზულობით ემზადებიან მე-10 სკოლე-

ლები რესპუბლიკის ნორჩ ტექნიკოსთა გამოფენისათვის. უნდა ნახოთ როგორ ჩაჰკირკიტებენ მე-6 კლასელები ჯემალ ხანუშოვი და გელა ძიძიგური თავიანთ მოტორიან ნავს, რომელსაც გამოფენისათვის ამზადებენ.

მთელი გულისხურითა და სიყვარულით ხატავს ზაქარია ფალიაშვილის პორტრეტს მე-7 კლასელი მერაბ მეტრეველი. კარგად ასახავს ტილოზე ავთანდილ კალანდაძე პარტიზანთა თათბირს ტყეში. აგერ, გოდერძი გოგოლაძეც. მას ბეწვანერხი მოუმარჯვებია და 4 სხვადასხვა სახის სათამაშოების კომპლექტს ამზადებს ფენერისაგან ოქტომბრელებისათვის.

მე-10 სკოლიდან გამოფენაზე ყველაზე პატარა გოგონა, მე-3 კლასელი ციციო პეტრიაშვილიც მიიღებს მონაწილეობას. იგი დამთვლიერებელთა წინაშე მის მიერ პლასტლინისაგან ოსტატურად გამოძერწილი ხურებით, ხილით ხავეკალათებითა და თოჯინებით წარსდგება. მე-5 კლასელი ნოდარ პაპოშვილის „გიორგი სააკაძე“, გამოძერ-



წილი პლასტლინისაგან, უსათუოდ მიიპყრობს მნახველთა ყურადღებას.

ა. მატროსოვის სახელობის რაზმეულის სიამაყეს წარმოადგენს ამავე სკოლის მესამე საფეხურის პიონერების — გაიოზ ფარეიშვილის, თამაზ ალანას და ელგუჯა ქავთარაძის მიერ წამოწყებული საქმე: ტექნიკის მოყვარული ბიჭუნები მთელ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას იყენებენ, რათა წარმატებით დაამთავრონ მოძრავი ელმავლის მოდელი და გამოფენაზე თავიანთი რაზმეული ახახელონ.

თ. სახაროვი
ფოტო ავტორისა.



ნორჩ ტექნიკოსთა გამოფენისათვის ამზადებენ ჯემალ ხანუშოვი და გელა ძიძიგური თავიანთ მოტორიან ნავს.



ოპი და ყვავილები

მ ო თ ხ რ ო ბ ა

შინ მიმავალმა ლილი ივანიშვილმა სკოლის ქიშკართან ატუხული უჩა გამრეკელი დაინახა.

ბავშვმა დალანდა თუ არა მასწავლებელი, მაშინვე ქუდი მოიგლიჯა და ჩანთიან ხელში დაიჭირა.

— პატივცემულო მასწავლებელო, პაპაჩემმა თქვენთან ბარათი გამომატანა, კლასში მოცემა ვერ გაგიბედეთ და...

გულისჯიბიდან ქალაღი ამოიღო და მორცხვად გაუწოდა.

„ქალბატონო ლილი,— ეწერა ბარათში, — დამდეთ პატივი და ორიოდ დღეში მეწვიეთ. ფრიად საჭიროა. მისამართი: კრილოვის 15. გულითადი სალამით— გიორგი გამრეკელი“.

— არ იცი, რა უნდა? — ცნობისწადილმა წასძლია და იკითხა ლილიმ.

უჩამ მხრები აიჩეჩა.

— კარგი, დაიხურე ქუდი. ახლავე წავიდეთ! თბილისში აპრილის მზიანი დღე იდგა, ქუჩას დინ-

ჯად გაუყვა ორმოცდაათიოდე წლის ქალი, რომლის ლამაზად დევარცხნილ თმას მხოლოდ აქა-იქ გამოჩნებოდა ქალარა. გვერდით თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭუნა აედევნა.

მასწავლებელი ბარათმა ჩააფიქრა, ორიოდ კვირის წინათ მომხდარი ამბავი გაახსენდა:

სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა მშობლების კრება მოიწვია.

სხვა მშობლებთან ერთად, კრებაზე სულ ბოლოს მოვიდა ერთი ხელჯოხიანი, თბილად ჩაცმული მოხუცი, ქუდის მოხდით მიესალმა ყველას, უკანა რიგში თავისუფალი ადგილი მოძებნა, ჩამოჯდა, სათვალე გაისწორა და ერთხელ კიდევ გადახედა მოსაუბრე ქალებს.

სპეტაკი თმა და წვერი სილამაზეს მატებდა, სათვალეც კი შვენოდა.

მართალია, ამ კაცს ივანიშვილისთვის თავი არ გაუცვნიდა, მაგრამ მასწავლებელი გუმანით მიხვდა, ეს მოხუცი უჩა გამრეკელის პაპა ან სხვა, ახლო ნათესავი, მივიდა და ვინაობა ჰკითხა.



— დიახ, უჩას პაპა გახლავართ,—მიუგო მოხუცმა, თავზინანად წამოდგა და ხელი მოწიწებით გაუწოდა.— დედამისი მივლინებაშია წასული.

ეს იყო და ეს.
დაიწყო კრება.

ლილიმ ილაპარაკა თითოეული მოსწავლის ავ-კარ-გინობაზე და, როცა ჯერი უჩა გამრეკელზე მიდგა, მოხუცს სახე გაეზადრა, რატომღაც სათვალე მოიხსნა და პირგანათებული ხარბად მიაჩერდა მოსაუბრეს.

უცებ, მოხუცს სახეზე ღიმილი გაუქრა და მის ნაცვლად იღუმალი გაკვირვება გამოეხატა, ხელებით მერხის საკეტს დაეყრდნო, ოდნავ წაიხარა და შვილიშვილის მაქებარს თვალეში მიაშტერდა.

დამთავრდა კრება.

გიორგიმ მასწავლებელს ერთი კიდეგ აუარ-ჩაუარა, კვლავ შეხედა თვალეში, მერე თავისთვის რაღაც ჩაილაპარაკა და ისე წაივიდა, გამომშვიდობებაც დაავიწყდა.

ლილი მასწავლებელს ეს ამბავი ალბათ არასდროს მოაგონდებოდა, დღეს იმ მოხუცის პატარა ბარათი რომ არ მიეღო,

მასპინძელი, რომელსაც ტანზე ჭრელი პიჯამო ეცვა და ფეხები ნაბდის ფოსტლებში გაეყარა, სტუმარს წინა კარშივე გამოეგება.

ივანიშვილმა პალტო გაიხადა და მოხუცს ოთახში შეჰყვა.

— გმადლობთ, დიდათ გმადლობთ, რომ მინახულეთ. აი, აქ დაბრძანდით,—უთხრა მასპინძელმა სტუმარს და საზურგიანი რბილი სკამი მაგიდასთან მიუდგა. რაღაც უხაროდა და ხელებს უსაქმოდ აფუსფუსებდა, თმალათოვლილი კაცი ბავშვივით ღელავდა.

მაგიდაზე წიგნები და ყდაგახუნებული რვეულები ელაგა, ხოლო მათ გვერდით, ოქროსფრად მოვარაყებულ ლამაზ ჩარჩოში, მოზრდილი სურათი მოჩანდა.

ქალმა შენიშნა, რომ სურათი აქ ახალი დადებულია, ან სხვაგან უნდა წაიღონ და ამიტომ არის ჩამოხსნილი კედლიდან, ანდა დღეს მოიტანეს.

გზაჯვარედინის ახლოს მოზრდილი ჯიხურაა დახატული, მგზავრთა თავშესაფარი. ჯიხურთან ყავარჯნებზე დაყრდნობილი, გვერდზე ტოპრაქამოკიდებული და ძონძებში გახვეული ორი დედაბერი დგას, ალბათ, სოფლიდან სოფლად სამათხოვროდ მოსიარულე. ერთი უკანასკნელ ლუკმას შუაზე ტეხს და მეორეს აწვდის. მათ თვალეში სევდაა ჩასახლებული. ისინი თითქმის აღარც ცხოვრობენ ამ ქვეყნად, მაგრამ კეთილშობილება და ადამიანური გული კი არ დაუკარგავთ. სურათთან ცოცხალი იებით ვაზა დგას.

ლილის მოეწონა ნახატი და თვალი ველარ მოსწყვიტა.

— საგანგებოდ შევიძინე. მინდა ერთ ჩემს ძველ მეგობარს ვაჩუქო და, რადგან თქვენც მოგეწონათ, თავს ბედნიერად ვგრძნობ, მიხარია, საჩუქრის შერჩევაში არ შეემცდარვარ.— აქ მოხუცი ცოტა შეყოვნდა, მანდილოსანს გამომცდელად თვალეში შეხედა.

— განა ეს სურათი თქვენი ცხოვრებიდან არაფერს გავგონებთ?

— არა!—გაიკვირვა ლილიმ.

— მაშ შევცდი? თქვენ ის არა ხართ?—აუკანკალდა ხმა მოხუცს. მის თვალეში უმაღლე ჩაიფერფლა იღუმალი სიხარულის შუქი და ასევე უმაღლე დაისადგურა სევდამ.

— ვინ ის?—თვალეში გაუფართოვდა ივანიშვილს.

— ვინა და... იცით, რას გეტყვით?—მე ქართულ ლიტერატურას ვასწავლიდი, ამჟამად პენსიონერი გახლავართ. აი, ამ რვეულებს ჩემი მოწაფეების სამახსოვროდ ვინახავ. მაგრამ ამას თავი დავანებოთ, თქვენც დამსახურებული მასწავლებელი ბრძანდებით და ამგვარი ამბებით, რასაკვირველია, ვერ გაგაოცებთ. უმჯობესია პირდაპირ დავიწყო,—მოხუცს ხელის გრძელი თითები სკამის საზურგესათვის ჩაველო და ისე ლაპარაკობდა, ხმა უთრთოდა, ღელავდა.—გადავწყვიტე, მოთხრობა დამეწერა, დიახ, მოთხრობა. გულმა მიკარნახა ისე. ფიქრადაც არა მაქვს, ოდესმე დავბეჭდო. მინდა დავწერო იმიტომ, რომ თქვენ წაგაკითხოთ, მხოლოდ თქვენ, სხვას არავის. ანდა, რატომღა უნდა დავწერო, როცა ამ მოთხრობის დაწერას თქვენ დაასწარით მოსვლა? თუ დრო გაქვთ, ახლავე გიამზობთ იმ ამბავს.

ცოტა ხნის შემდეგ მანდილოსანი მაგიდასთან იჯდა და გაკვირვებული მისჩერებოდა მოხუცს, რომელიც ბალიშდაფენილ სკამზე იჯდა და აკანკალებული ხმით შორეულ ამბავს ჰყვებოდა.

* * *

ათას ცხრაას თხუთმეტი წლის თავქარიანი მარტი იდგა.

სოფლის მასწავლებელს, დავით იაშვილს, გულშინალები მასწავლებელთან წამოსცდა: ეჰ, რა უბრალოდ იღვრება ადამიანთა სისხლი ამ უგნურ ომში, დროა ჩვენმა ჯარისკაცებმა უცხოელებისაკენ მიმართული ხიშტები მეფისკენ შემოაბრუნონ და ქვეყანა ტანჯვისაგან გაათავისუფლონო.

ასეთი სიტყვების თქმას, ისიც მოწაფეებთან, ვინ აპატიებდა? ვილაცამ ბოქაულთან დააბეზლა, სკოლიდან გამოაგდეს და დარჩა უმუშევარი.

თბილისის გარეუბანში მცხოვრებ დავითს არც მიწა ჰქონდა, რომ მასზე ბოსტნეული მაინც მოეყვანა, და არც სახლში გააჩნდა გასაყიდი რამ. მშვიერი ცოლი და სამი შვილი ერთმანეთს პირში მისჩერებოდა. თუნუქის ძველ ღუმელზე ცარიელი ქვაბი იდგა.

ნამასწავლებლარს ერთი კარგი პალტო ჰქონდა, გაზაფხულის პირზე ისიც გაყიდა, მაგრამ ეს გროშები რამდენ ხანს დააპურებდა ხუთსულიან ოჯახს?

გაკვირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო: ოჯახის შიმშილს ისიც დამატა, რომ უმცროსი ვაჟიშვილი ავად გაუხდა. რა ექნა: ექიმს საიდან მოიყვანდა, როცა წამლების ფულიც ვერსად იშოვა? მეორე დღეს, ტყეში წა-

სულმა უფროსმა ქალიშვილმა ნინომ ბაღბასა და სხვა მხალეულობას ოციოდე კონა ლურჯთვალა ია მოაყოლა.

— შვილო, ეს იები რალად გინდოდა, ამის საკრეფად მოსციდი?—ჰკითხა მამამ.

— ხვალ ქალაქში უნდა წავიღო; წამლის ფული რომ ვიშოვო, ისიც კარგი იქნება,—უპასუხა ნინომ.

— ეჰ, შვილო, როცა ფრონტზე სისხლი იღვრება, მაშინ იშვითთია ადამიანი, ვისაც ყვავილებისთვის სცალია,—უთხრა მამამ ქალიშვილს.

— აბა, ძამიკოს რით ვუშველოთ?—ცრემლნარევი ხმით შეეკითხა ნინო და თვალეზში სევდა ჩაუგუბდა.

ჭერდაბალ ქობში, საწოლზე, ძველ საბანსა და სიცხის ბურანში გახვეული ბიჭი შფოთავდა. სევდიანი დედა თავსასთუმალთან უჯდა და ავადმყოფს ცივ-ცივ ტილოებს შუბლზე აფენდა.

— მოგიკვდი, შვილო, ეს რა ცეცხლი გიკიდილა.

დავითმა მზერა ირგვლივ მოაგლო, მერე ქალიშვილს თვალეზში ჩახედა, უნდოდა რალაც ეპასუხა, მაგრამ კრიტი ვერ დასძრა.

ნინომ ყვავილები წყალში ჩაყარა, ხვალამდე არ შეტკნესო.

თუმცა დილა ცივი და წვიმიანი გათენდა, ნინომ ადგომისთანავე უპუროდ შექამა ცოტაოდენი შავი მხალი, მოიხურა დედის ძველი შალი, აიღო იებიანი კალათა და ზღურბლისკენ ნაბიჯი გადადგა.

კარებთან მამამ გადაუჭრა გზა:

— მომე კალათა. ამ ვერანა ამინდში შენი ქალაქში წასვლა არ იქნება...

ქალიშვილმა პირველად ითურა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა კალათა მამისთვის გადაეცა.

* * *

შუბლმოღუშული ცა დასტიროდა თბილისს. ხანდახან ქარიც დაუბერავდა, გაწუწულ, შიშველ ხეებს ააქანკალებდა.

ქუჩაში მოხეტიალე დავითს ფეხსაცმელები უჭყაპუნებდა, სველი ხალათი ტანზე მიჰკვროდა, ცალ ხელში კალათა ეჭირა, მეორეში—ის კონა და, გაუსწორდებოდა თუ არა რომელიმე გამვლელს, თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკებდა: „ია, ია, იაფად!“—და თავიანდუნული განაგრძობდა გზას. ქუდი-შუბლზე ჩამოფხატოდა. თვალს არიდებდა ყველას, ვინმე ნაცნობმა არ დამინახოსო.

ცულ ამინდს ხალხი სახლებიდან არ გამოეშვა. აქა-იქ, კანტი-კუნტად თუ გამოჩნდებოდა ვინმე და ისიც თავიანდუნული, საჩქაროდ მიმავალი.

შუადღისას წვიმამ იმატა და შიგადაშიგ წყალნარევი თოვლიც გამოერია კალარასავით.

დავითი ჭყაპიანი ფეხსაცმელებით მიტყაპუნობდა ქვაფენილზე, წვივებამდე შარვალაკაბიწებული. ქუდიდან ჩამოდენილი წვიმის წვეთები კისერში ეღვრებოდა. კალათაში ხუთი იის კონა-ლა ჰქონდა, დანარჩენი გაესალდებინა. დალილმა ქუჩა ირიბად გადასჭრა და თეთრად შეფეთქილი სახლის წინა კართან, კიბის სახურავს შეაფარა თავი.

ცოტა ხნის შემდეგ წვიმამ იკლო, მაგრამ დავითი აღარ გამოსულა იქიდან. ქუდი დაიბერტყა, ხალათი ტანზევე შემოიწურა და ფილაქანზე ჩამოჯდა; უნდოდა,



ქობში, საწოლზე, ძველ საბანსა და სიცხის ბურანში გახვეული ბიჭი შფოთავდა.



ბარემ ეს ხუთი იის კონაც გაეყიდა და ისე დაბრუნებულიყო შინ.

ქუჩის მეორე მხრიდან ისმოდა სამიკიტნოში მყოფთა ხმაუწყობელი სიმღერა. ჭიჭყინებდა ზურნა და ტიროდა არღანო.

დავითი კი იჯდა გაწუწულ ჩიორასავით მობუზული და მუშტარს ელოდა.

იმ კიბის მარჯვნივ, სადაც ყვაილების გამყიდველი იჯდა, მოჩანდა სარდაფი, რომლის ერთადერთი ვიწრო ფანჯარაც თითქმის მთლიანად ქუჩის პირზე დაბლა იყო გამოჭრილი. ფანჯრიდან საპნის სუნი ამოდიოდა.

სარდაფში ჩასვლა მხოლოდ დანჯღრეული კიბით შეიძლებოდა.

დავითმა ერთ ხანს კიბეს უცქირა, მერე გულზე ხელებდაკრეფილმა თვალი ქუჩას გააღვენა.

ვიღაც ოქროს ეპოლეტებიანმა და გრძელხმლიანმა დეზების წყარუნით ისე ჩაუარა დავითს, მისკენ ცალი თვალითაც არ გამოუხედავს, ალბათ ვინმე როტმისტრი ან ჟანდარმთა უფროსი იყო.

ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა შუახნის ქალი, მალაქ-ქუსლებიან ფეხსაცმლებზე შესკუპებული და მდიდრულად გამოწყობილ-გამოპრანჭული. ცალ ხელში ქოლგა ეჭირა, ცალშიც—ცუგას კისერზე მოგდებული გრძელი თასმა, უკან თხუთმეტოდე წლის ბიჭი მოჰყვებოდა, ზურგზე ფუთამოკიდებული.

ქალი გაუსწორდა ყვაილების გამყიდველს და შეჩერდა, ახედ-დახედა, თავი დანანებით გაიქნ-გამოიქნია, ერთი ამოიოხრა: „საცოდავიო“, და ბიჭს არხეინად მიუბრუნდა:

— რას უდგებარ, ოჩანო! ჩაიტანე ფუთა და უთხარი, ყველაფერი კარგად გარეცხოს, დააუთოვოს და შინ თვითონვე მომიტანოს. ფულს, როცა დარეცხილს მოიტან, მაშინ მოგცემ-თქო. ისიც შეახსენე, საპონი თეთრეულშია გახვეული და, თუ რამე გადარჩეს, ღმერთმა ალაღად მოგახმაროს-თქო.

ბიჭი ფრთხილად ჩაეშვა კიბეზე და იქიდან ისევ მალე ამობობლდა.

სარდაფიდან შავი თავსაფრით თავწაკრულმა, მკლავებდაკაპიწებულმა ქალმა გამოიხედა და ქოლგიანს ამოსძახა:

— ქალბატონო ელიზავეტა, გარეცხვით კი გაგირეცხავთ, მაგრამ მარტის ამბავი ხომ იცით, თუ მზემ არ გამოიჭიატა, გაშრობა დამიგვიანდება.

— ეგ შენ იცოდე და მზემ,—უთხრა ქოლგიანმა, მრეცხავს ზურგი შეაქცია, ბიჭს უთხრა: ძალი წამოიყვანეო, თასმა გადასცა და თავისი გზით წაპრაკუნდა.

დავითი იჯდა შეცივებული და ელოდა უკანასკნელი ხუთი კონა იის მუშტარს.

აი, სამი სალდათი მოაბოტებს მისკენ. ყველაზე მალაქმა დაინახა კიბეზე ჩამომჯდარი კაცი, ნაბიჯს აუჩქარა, გახარებული მიიჭრა კალათასთან, რაღაც კარგს

ელოდა, მაგრამ იის კონები რომ დახედა, მათ გადაფურთხა:

— ტუუ! მეგონა, კიბლის გასაქრავ რამეს ჰყიდა, ეს კი თურმე რას დაჰყურაყუტებს! ვის რა ოხრად უნდა ახლა ყვაილები, როცა კუჭში არაფერი ყრია!

წვიმა ახლა უკვე თინჯილაღდა და ქარიც უფრო სუსტად უბერავდა.

ქუჩის მეორე მხრიდან ფარაჯიანი ხეიბარი გამოჩნდა. მარჯვენა მუხლზე მიმაგრებულ ომბოხს—ხის ფეხს და ბამბუკის ყვარჯენს ერთნაირად უკაქუნებდა ქვაფენილზე. ეტყობოდა, მთვრალი იყო, გულგამწარებული უშვებრად აგინებდა ომის მომგონს.

— ეჰ, ერთისთვის რა მწარეა და მეორისთვის რა ტკბილია ცხოვრება ამ უსამართლო ქვეყანაში. ზოგი ქეიფში ატარებს მთელ სიცოცხლეს, ზოგიც ტირილში.— ყვაილების გამყიდველმა თავი მოწყვეტილივით ჩაჰკიდა. დადარდიანებულმა კაცმა თავი მალა რომ ასწია, დინახა: მის წინ ჩანთით ხელში თორმეტოდე წლის გოგონა იდგა, გაცრეცილ პალტოიანი, თავზე შალმობხვეული, მრგვალი პირისახისა და შავთვალწარბა. იდგა და ხან ყვაილებს უყურებდა, ხანაც—დავითს. მის თვალებში სევდაც კი თავის ქმუნვარებას ჰკარგავდა და იმედისმომცემად ციმციმებდა.

ერთ ხანს ასე უყურა მან ყვაილების გამყიდველს, მერე, თითქოს კაცის წამწამებზე დაკიდებულმა ცრემლებმა შეაშინაო, უცებ მოსწყვიტა მზერა, იბრუნა პირი, იქვე ქვაფენილზე ფეხები ბეჯითად გაიწმინდა და სარდაფში ჩაეშვა.

დავითმა მზერა ჩააყოლა.

— შეილო, რად დაგაგვიანდა ასე, სკოლაში ხომ არაფერი მომხდარა?—ეკითხება დედა შინ მისულს.

— ყოველთვის ამ დროს არ მოვდივარ?—ისმის გოგონას სასიამოვნო ხმა.—სადილი გვაქვს?

— ე მანდ კარადაში პურის ნაჭერიო, მეტი ვერაფერი დაგახვედრე, მე დასამიწებელმა. დღეს ამით უნდა გახვიდე იოლად. მარილი მოაფიორე და წყალი მიატანე, უფრო გეგემრიელება.

ათიოდე წუთის შემდეგ გოგონამ კარებიდან გამოიხედა, დავითს უყურა, უყურა და ისევ სარდაფში შებრუნდა.

— დედილო, ფული სულ აღარა გაქვს?—ისმის მისი მუდარაშერეული ხმა.

— ორიოდე გროშიდა დაგვრჩა, შეილო, ხვალ და ხვალის იქით გვეყოფა პურისთვის. რატომ იკითხე?

— იცი, დედილო, ქუჩის მოსახვევში შავი პურის ლავაში იყიდება ცოტა იაფად, თუ ფულს მომიცემ, ახლავე გაეიქცევი და ბარემ ვიყიდი.

გოგონა სარდაფიდან ამოვიდა, ქუჩას უღიმღამოდ გაჰყვა და მიიმალა. მალე უკანვე დაბრუნდა და დავითს წინ გაჩერდა.

— ღმერთო ჩემო, რა თვალეები აქვს ამ ბავშვს! მთელი დღე ქალაქში დავეხეტებოდი და ასეთი თანა-



დადარდინებულმა კაცმა თავი მალდა რომ ახწია, მის წინ თორმეტიოდე წლის გოგონა დაინახა.

გრძნობით არავის შემოუხედავს, — გაიფიქრა დავითმა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გოგონამ დაასწრო.

— ძია, რა ღირს იის კონა?

დავითი შეცბა. არ მოელოდა ამ შეკითხვას. ყვაგილებს ხომ უმთავრესად ის ყიდულობს, ვისი ცხოვრებაც ჰყვავის და, განა ეს გოგონა იის კონას გაუსალებს? არა, ისე, უბრალოდ ჰკითხა ალბათ, სულ უბრალოდ.

— ძია, რა ღირს ყვაგილები? — გაიმეორა გოგონამ, გამყიდველმა პასუხი არ დაახანა.

— ხუთიფე კონა რა ღირს-მეთქი?

დავითი სახტად დარჩა. როცა დარწმუნდა, ნამდვილად მევაჭრებაო, ენის ბორძიკით უთხრა საღირალი.

ბავშვი არც დაფიქრებულა, ისე სწრაფად გაუწოდა ფული; კალათიდან ყვაგილები თვითონვე ამოკრიფა, გმადლობთო, უთხრა და სარდაფში ჩაეშვა.

დავითს ფულზე მოჭერილი ხელი უცნაურად აუკანკალდა. სიზმარსა ვაგდა, ტკბილ სიზმარს იმ გოგონას მარილიანი შემოხედვაც და საქმეც.

— უი, ღმერთო, შენ მომკალი, ეს რა გიყიდი, შვილო?! — მოისმა სარდაფიდან დედის ტირილნარევი ხმა. — ესაა შენი იაფი ლაეაში? როდის იყო, რომ ყვაგილებს ყიდულობდი?!

— დედილო, ნუ გამიწყრები, გენაცვალე. ამ ყვაგილების გამყიდველი რომ დაგენახა, ვიცი, შენც ჩემსავით მოიქცეოდი. სკოლიდან გამოვლისას საწყალი მთლად გალუბული ცივ ქვაზე იჯდა და მუშტარს ელოდა. ახლა გამოვიარე და ისევ ისე დამხვდა. აბა რა მექნა? ახლა წავა შინ და გათბება. ალბათ, ოჯახში რამე დიდი გაჭირვება აქვს, თორემ ამხელა კაცი ყვაგილების გასაყიდად არ გამოვიდოდა. ნუ გამიწყრები, გენაცვალე!

სარდაფიდან ყველაფერი ისმოდა.

ახლა იგი ყოველივეს მიხვდა: გოგონას ყვაგილებისთვის არ სცალია, მაგრამ მაინც იყიდა, ლუკმის საყიდელი უკანასკნელი ფულით; იყიდა იმიტომ, რომ მას ყველაფერზე მეტად უყვარს ამ ქვეყანაზე ადამიანი და ეცოდება გაჭირვებაში ჩავარდნილი კაცი. ამ დალოცვილს რა კარგი გული ჰქონია! ნეტავ პური აღარ დაუხვდა? იგებ დაუხვდა და განგებ არ იყიდა, რომ შემდეგ იის კონები გაესაღებინა? რა ვქნა ახლა? განა ამ ოჯახს ფული გამოერთმევა? ეს ხომ მისი ღარიბული ლუკმის შუაზე გატეხა იქნება?

დაფიქრებულ დავითს გოგონასაგან მიცემული ფული ისევ აუცახცახდა ხელში.

— ჩავალ სარდაფში, ფულს დავუბრუნებ ამ გაჭირვებულ ოჯახს, ხოლო ჩემს იებს უკან წავიღებ, — ჩაილაპარაკა, კიბისკენ ფეხის გადადგმა დააპირა, მაგრამ მაშინვე თვალწინ დაუდგა ქობში მიტოვებული ფერმიხდილი ვაჟიშვილი. — არა, არა, ახლა წავიღებ, როგორც სესხს, ხოლო ვიშოვი თუ არა, უმალვე უკან მოვუტან. ჰო, ასე აჯობებს. სამი დღეა ჩემს ბავშვებს პური არ დაუნახავთ, ავადმყოფს წამალი უნდა. ჰო, ასე აჯობებს.

ასე,—უთხრა საკუთარ თავს და დაღლილი შინ წალას-
ლასდა.

ერთი თვის შემდეგ დავითმა მართლაც იშოვა ცო-
ტაოდენი ფული და ნაცნობი სარდაფის კარებს მიაღწა.

— ვინ გნებავთ?—გამოხედა მოხუცმა კაცმა.

— მრეცხავი ცხოვრობს აქ, გოგონათი. სთხოვეთ,
გამომხედონ.

— ორი კვირის წინ გადავიდნენ სხვაგან. გადავიდ-
ნენ კი არა, ბინის ქირა ვერ გადაიხადეს და სახლის
პატრონმა გარეთ გაყარა.

— არ იცით, ახლა სად ცხოვრობენ?

— გულახდილად უნდა გითხრათ, არა.

დავითს რაღაცამ ბასრი ბრჭყალი გაჰკრა გულზე და
მწარედ ატკინა. ისე დამწუხრდა, თითქოსდა თვითონ
იყო მათი აქედან გასახლების მიზეზი, თითქოს მისმა
იებმა წაართვა მათ ბინის ქირის გადასახდელი ფული.
დარდით გულდამძიმებული გამობრუნდა. შვილი კი გა-
დაურჩინა იმ გოგონას გროშებით ნაყიდმა წამალმა,
მაგრამ თვითონ გოგონა რომ ბინიდან გაუგდიოთ?

მიაბიჯებდა დავითი და რატომღაც მტკიცედ სჯე-
როდა, რომ ოდესმე უეჭველად იპოვიდა ბავშვს და
გროშებს დაუბრუნებდა, იპოვიდა იმ თვალებით მაინც,
რომელიც მას სამარადისოდ აღებეჭდა გულში, იპოვი-
და აუცილებლად, რადგან სიკეთე არ იკარგება ქვეყა-
ნაზე. სჯეროდა და დიდი ხნის შემდეგ იპოვა კიდევ.

* * *

მოხუცმა თხრობა დაამთავრა და ივანიშვილს ისე
შეხედა, რომ აშკარად ეტყობოდა, ეკითხებოდა, აბა
რას იტყვიო.

ფიქრებში წასულმა ქალმა გვიან ამოიღო ხმა:

— დამთავრდა?

— დიახ.

— კარგი იქნება, იმასაც თუ დასწერთ, სად და
როგორ იპოვა დავითმა ის გოგონა.

— განა თქვენთვის ეს ამბავი უცნობია?—გაკვირვე-
ბით შეეკითხა გიორგი.—თქვენ გგონიათ, დამავიწყდა
იმ ბავშვის თვალთა გამოხედვა? ვითომ შეეცდი, როცა
თქვენში ის გოგონა დავინახე?


— შეცდომისაგან არავინ არის დაზღვეული,—მიუგო
ივანიშვილმა.

— განა თქვენ არასოდეს გიცხოვრიათ სარდაფში?—
არა ცხრებოდა მოხუცი.

ქალი კი სღუმდა.

გიორგიმ შორიდან შემოუარა:

— შვილო, ვამიგონია, ვინც გაწეულ სიკეთეზე სა-
მაგიეროს მოითხოვს, იგი სიკეთის მთესველი კაცი კი
არა, სიკეთით მოვაჭრეაო. ჰო, ჰო, ასე ვამიგონია. შენც
ასე ფიქრობ ალბათ. ბავშვობაში ფარულად ჩადენილი
სიკეთე არც ახლა გინდა გაამყდევნო. მხოლოდ ერთს
მაინც გეტყვი, შვილო: შენც მიმხვდარი ხარ, რომ ის
დავითი მე ვარ. უჩა იმ კაცის შვილია, რომელიც უც-
ნობი გოგონას ფულით ნაყიდმა წამალმა გადამიჩინა,



— ხამი დღეა ჩემს ბავშვებს პური არ დაუნახავთ,
ავადმყოფს წამალი უნდა,—უთხრა მან საკუთარ თავს
და შინ წალახლასდა.

და, როცა ჩემს შვილიშვილს შევხედავდი, აუცილებლად
ის გოგონაც მახსენდებოდა. ვიგონებდი მას და, რად-
გან სახელი არ ვიცოდი, ოცნებით „კეთილ გოგონას“
ვეძახდი, მუდამ ვნატრობდი მის ნახვას. სიბერეს ვინ
გაქეცევა, დავებრდი მეც. ორიოდე პარასკევილა დამრ-
ჩენია და, ყველაფრით კმაყოფილს, იმ ამბავს ნუ ჩა-
მატანთ დარდად, რომ მე ვერ ვნახე ის გოგონა. იმ
დღეს, სკოლაში რომ ვიყავი, უზომოდ ბედნიერი გავხ-
დი: მისი თვალები თქვენს თვალებში დავინახე. მჯერა,
ვიპოვე იგი, ვისაც მთელი სიცოცხლე საგულდაგულოდ
ვეძებდი. ჰო, ჰო, ხმა ამოიღეთ, მითხარით, რომ მე
არა ვცდები. ახლა სიკეთის დაფარვა სიკეთედ როდი
ჩაგეთვლებათ. ხომ იცით, რომ მე ეს შეგბას მომანი-
ქებს!


მოხუცი ლელავდა. მის ხმაში მუდარა ისმოდა.

ლილი წამოდგა.

— ეს ნახატი იმ გოგონას საჩუქრად გაამზადეთ?—
ჰკითხა მცირე ღუმლის შემდეგ.

— დიახ!—გიორგის თვალებში სიკაბუჯის შუქი აუ-
კამკამკამდა.

— რაკი თქვენი სურვილი ასეთია, მე წავიღებ ამ
სურათს.



დაიწყო საკლასო წერა. ხაჭირია დაიწეროს სწორად, ლამაზად და სუფთად. ეს კარგად ახსოვს მე-5 კლასელ ეთერ ფგნატაშვილს, აკი იმიტომაც წერს ნელა და დაკვირვებით.

და მართლაც რომ ასეა: ყველა მანქანას თავისი საქმე აქვს მიჩენილი; თუ რამე გაუჭირდა, მივა მუშა და დაეხმარება, თუ არა და, მუშაობს, აბა რა დადღის?!

აი, გადადიან მოსწავლეები საამქროდან საამქროში, მანქანიდან მანქანაზე და საკუთარი თვალთ ხედავენ როგორ იცვლის ბაზა სახეს.

საქსოვი დაზგებიც თვითონ მუშაობენ, «დამოუკიდებლად». ბევრი, ძალიან ბევრი ძაფია ზედ გაჭიმული. თითისტრები ტრიალებენ და ძაფს აწვდიან, მაქო მოძრაობს და ქსოვს, რულონი ტრიალებს და ზედ იხვევს ქსოვილს. მაგრამ, თუ ძაფი გაწყდა? მაშინ მანქანა წუნს კი არ გამოუშვებს!—გაჩერდება. მივა მუშა, ჩაუბავს ძაფს და მანქანაც ისევ გამალეებით იწყებს ქსოვას.

ძალიან, ძალიან კმაყოფილი იყვნენ გორის მე-9 საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელები, რომ ეს გაკვეთილი ბამბეულის კომბინატში ჩატარდა. მათ საკუთარი თვალთ ნახეს თუ როგორ გადაიქცა ბამბა ქსოვილად.

რა გვიამბო ნანის დღიურმა

გადავშალეთ ერთი მეშვიდეკლასელის, ნანი ბერძენიშვილის დღიური და აი რა გვიამბო მან:

«ნანი ბეჯითი გოგონაა, დღის რეჟიმი აქვს და ყოველთვის ასრულებს მას. რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ გაკვეთილების მომზადება გადადოს! სტუმრებიც ბევრჯერ მოსულან, საინტერესო წიგნსაც ბევრჯერ გაუტაცნია, მაგრამ რეჟიმისთვის არ უღალატნია. ჰოდა, იმიტომაც ვარ მეც ასე მოხდენილი!

აბა, გადამშალეთ, კიდეც. აი, ხედავთ? სულ ოთხიანები და ხუთიანები ჩამომწკრივებული. ნანი ძალიან

კარგად პასუხობს ხოლმე მასწავლებელს. მეც ისე ბედნიერად ვგრძნობ თავს ამ დროს! ზოგიერთის დღიურს კი არ ვგვევარ, რომ აღარ იციან სიტყვილით სად დაიმალონ ხოლმე!

იმ დღეს, ჩემს პატრონს რომში და რომის თვისებები რომ ჰკითხა მასწავლებელმა, ცოტა მეც შევერთი, მაგრამ მხოლოდ ერთი წამით; ნანი რომ ჩვეულებრივად თვალეგაბრწყინებული დავინახე, დავწყნარდი და აკი მივიღე კიდეც ხუთიანი. ქიმიკშიც ხუთიანებს ვიღებ, ზოოლოგიაშიც, ალგებრაშიც, ფიზიკაშიც... ერთი სიტყვით, მე ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი პატრონით»,—თქვა დღიურმა და გაჩუმდა.

ჩვენ ნანის კლასისაკენ გავეშურეთ. ის იყო ზარი დაირეკა და ბავშვებს ჩვენც შევეყვით საკლასო ოთახში. ზოოლოგიის გაკვეთილი ჰქონდათ. მასწავლებელმა ერთს ჰკითხა, მეორეს და მერე ნატვრა აგვიხდა: სწორედ ნანი გამოიძახა. სულ მალე დავრწმუნდით, რომ ნანის დღიური მართლაც სარკეა ნანის ცხოვრებისა. ამ დღეს ნანიმ კიდეც ერთი ხუთიანი მიიღო. ასე იცის სიბეჯითე!

დაპირველი 45 წუთი

სულ რამდენიმე წუთში მთელი ფედერაციული გერმანია შემოიარა ალექსი ნასყიდაშვილმა. ფრანკფურტიც ნახა, მიუნჰენიც... მდინარეებსაც ჩაუყვავა, მთებიც შემოხაზა...

გივი კარელიძე კი უნგრეთის ნაცვლად ჩეხოსლოვაკიას ეწვია და შეიძლება პოლონეთიც ვერ ეპოვნა ევროპის პოლიტიკურ რუკაზე, თამაზ არუთინოვი რომ არ მიხმარებოდა.

შემდეგ მასწავლებელმა ბრიტანეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები ახსნა.

კლასი აქტიურად მიჰყვებოდა ახალ გაკვეთილს. ალექსი შეწუხდა. — მაშ ჩვენს «დინამოს» გაუჭირდება, ინგლისში ამდენი ბურუსი თუ იცისო.

როგორ იწყება გზაზე სკოლიკად

ისინი გაოცებული შეჰყურებდნენ უშველებელ მანქანას, შეუჩერებლად რომ შთანთქავდა ბამბის მთებს.

— აქ იწყება აზიის მინდვრებიდან მიღებული ბამბის პირველი გადამუშავება,—თქვა მასწავლებელმა ეთერ დეკანოსიძემ და კლასს წინ გაუძღვა. გაბენტილი ბამბა მდინარესავით გადმოდიოდა მანქანის მეორე მხრიდან.

შემდეგ იგი სხვა მანქანებში კიდეც იპენტება და უფრო წმინდა ნაკადულებად იღვრება, შემდეგ კი, საბოლოოდ რომ დაიხვეწება, წყაროს მოგაგონებთ—ისე გამჭვირვალე და ჰაეროვანია იგი.

უამრავი თითისტარი ტრიალებს ძაფსართავში და მეშვიდეკლასელებს უკვირთ, ძალიან უკვირთ, როგორ ართავენ თითისტრები ძაფს თავისით, ადაშიანის დაუხმარებლად? — ისეა, თითქოს ყველამ თავისი საქმე იცისო, — აღტაცებულია ანა ბერძენიშვილი.

ეკთ სკოლაში



მე-7 კლასელი ნაწული ბერძენიშვალი და გვი
საიადოვი ხშირად ვარჯიშობენ რუკასთან.

გურამ ყაზიშვილსა და როსტომ და-
დიანიძეს კი არაფერი გაუგიათ ამ
გაკვეთილისა. ხან ჩურჩული ისპოდა
მათი მხრიდან, ხან დუდუნი. მათ ეს
45 წუთი სრულიად უაზროდ დაჰკარ-
გეს და, შემდეგ გაკვეთილზე ამ ყმა-
წვილებმა შეიძლება ლონდონი აფრი-
კაში ექებონ, ხოლო სულ შემდეგ,
როცა ცხოვრებაში გავლენ, შეიძლე-
ბა გაწითლდნენ ერთი სპორტსმენი-
ვით, მეღბურნი რომ ავსტრიაში ეგო-
ნა, რადგან ავტრია და ავსტრალია
ყოველთვის ერთ ქვეყნად მიაჩნდა
თურმე.

დოდო ქუჩასპედიანს
ყოველი დავალება
ჰქონდა შესრულებული
და მერე როგორ სუფ-
თად და ლამაზად,
მიივებოდა აეკინძა
ასოები.

დეღავეს დოდო, მას-
წავლებელი რვეულს
არ უბრუნებს, ნეტავ
რატომ?

შენ რომ ყველა საშინ-
აო დავალება არ შე-
გესრულებინა, ან დათ-
ხუბნული, დაჯღაბნი-
ლი რვეული გქონოდა,
მასწავლებელს კმაყო-
ფილი ღიმილი არ მოე-
ფინებოდა...

საშინაო დავალების
კარგი რვეული ცოტას
როდი ნიშნავს! ეს სა-
ფუძვლიანი ცოდნის
ერთ-ერთი პირობაა. აი,
რატომ გაახარა მას-
წავლებელი შენმა რვე-
ულმა!

**კარგი რვეული სიტყვს როდი
ნიშნავს**

— აბა, საშინაო დავალების რვეუ-
ლები გადაშალეთ!—თქვა ქართული
ენის მასწავლებელმა ელენე კაიშაურ-
მა და რვეულები აშრიალდა. ერთი
მათგანი მასწავლებელმა ხელში აი-
ლო, გადაშალა, კიდევ გადაფურცლა
და კმაყოფილი ღიმილი მოეფინა სა-
ხეზე.
რამ ასიამოვნა მასწავლებელი?



მეგობრები: მერ-
ვეკლასელი გვი
ერაშვილი და თემო
ფაჩოშვილი სკოლის
სახელოსნოში ფუ-
ფუხებენ.

**ბებო, აბა
ერთი მითხარი**

ვთქვათ, გაქვთ
ოქრონარევი ქვი-
შა. როგორ გა-
მოარჩევთ ოქროს
ქვიშისაგან? სა-
თითაოდ აარჩევ?
ეს შეუძლებელია.
მაშ, როგორ მოი-
ქცევით?

— ოქრონარევი
ქვიშას წყალში
ჩავეყრი და გავ-
რეცხავ. ოქრო
უფრო მძიმეა და
ჩაიძირება, ქვიშა
კი წყლის ჭავლს
გაჰყვება. — გიბა-
სუხებთ მეექვსე-
კლასელი ჯემალ
ჩუხრუკიძე, თუკი
მას მისცემთ ასეთ
შეკითხვას. გიბა-
სუხებთ და და-
გომტიკებთ კი-
დევატ.

ეს ხომ ფიზიკის გაკვეთილზედაც
დაამტკიცა ჯემალმა, როცა მასწავ-
ლებელმა საპასუხოდ გამოიძახა.

აი, დგას ეს მომცრო ტანის ბიჭი
ხელსაწყოებთან, უჭირავს სპილენძის
ნაჭერი და ცდილობს გამოიანგარი-
შოს მისი კუთრი წონა. ცდილობს
და კიდევაც ახერხებს. აკეთებს იმას,
რაც მასწავლებელმა გააკეთა წინა
გაკვეთილზე, შეუცდომლად მიჰყვება
გზას და...

— სწორია. ყოჩაღ, ჯემალ!—ამ-
ბობს მასწავლებელი, როცა ჯემალი
სპილენძის კუთრ წონას დაფაზე
წერს.

ჯემალმა ახლა იცის, მყარად
იცის, როგორ უნდა გამოიანგარიშოს
სხეულის კუთრი წონა.

— ბებო, ბებო, აბა თუ იცი, ხე
უფრო მსუბუქია თუ ყინული?—ეშმა-
კურად ეკითხება ჯემალი ბებიას და
უნარიია, ძალიან უხარია, რომ მას,
ბატარა ჯემალს, შეუძლია აუხსნას
ბებოს ზოგიერთი რამ, და ისიც, ფი-
ზიკის დახმარებით.

ასე, გაკვეთილიდან გაკვეთილამდე,
კვირიდან კვირამდე, წლიდან წლამდე
იფურცლებს ცოდნის დიდი წიგნი, და
ჯემალი და მისი ამხანაგები სულ
უფრო მცოდნენ და განათლებულნი
ხდებიან.

ლ. მელვინეთუხუცესი



გმირის მარჯვენა

მ ო ტ ხ რ ო ბ ა

თუმცა ზაფხული გამარჯვებულად გამოიყურებოდა, მთათუშეთის მწვერვალებს ისევ თოვლი ეფინა და ხანგამოშვებით ცივი ნიაფი ჰქროდა. დიდიც და პატარაც ჩამავალი მზის სხივებს მიჰფიცებოდა. სოფლის ზემოდან, ცალკე, მაღალი სახლის აივანზე, ფარდაგადაფენილ ტახტზე ორი მოხუცი კაცი ფეხმორთხმით იჯდა და ღინჯად საუბრობდა.

— რაც თვალი ამეხილა, მას შემდეგ ოთხმოცდათორმეტ ზამთარს გამოვციდი და გული ჯერ არ დამბერებია, დროდადრო ტანში ისეთ ჯანს ვიგრძნობ ხოლმე, რომ მინდა ისევ ხმალი ვიძმო და დღეგრძელ ერეკლეს ლაშქრად ვეახლო. მაგრამ, ვაი რომ, ჩემო შიო, ეზო-ყურეს გავატან და ცოტა ქვემოთ კი სხვისა სათრევი გავხდები.

— ეჰ, მიხა, მეც თითქმის შენს ხნობამდე ვარ მოყრილი და აკი მეც აგრევე მოვტყედი. ფიქრი კი, ვინ იცის, რამდენ დროს მომატარებს და რას არ მომაგონებს. კაცმა რო თქვას, სანანებელიც არარა გვაქვს—ვალად არც რა შენ მოგდევს და არც რამე. სამოც წე-


ლზე მეტ ხანს არც ხმალი დაგვეჩანგებია, არც ცხენი მოგვისვენებია და არც დამბაჩა გაგვიგდია ხელიდან... დრო იყო, შენი სახელი მთელ კახეთს ქუხდა და მთელ ლეკეთს ცეცხლად ედებოდა. ვეჯაკი შენზე მკლავმადლიანი ფიქრადლა თუ შეიძლებოდა.

— ვეფო, ჩემი ვაჟკაცობის მომგონს შენი რალად ვავიწყდება? განა ტკბილად სახსენებელმა თეიმურაზ მეფემ გმირობისათვის ბედაური არ გიძღვნა? ჰაი, ჰაი, რა დღეები გვინახავს! ახლა კი, როცა ღვთის კაცი მოველინა საქართველოს—ეს ჩვენი მეფე ერეკლე, ლობეს ვეღარ გავცილებივარ. რაც ტახტზე ავიდა და მტერს შავი დღე გაუთენა, მთამაც ამოისუნთქა და ბარმაც.

— ერთი ჩვენ კი ვერ გვეღირსა იმ მაღლიანი კაცის ნახვა და რა ვიცი...

— შიოოოო!—შემოწული ლობის იქით ვილაცამ გაბმით დაიძახა.

შიომ და მიხამაც თვალეზზე ხელი მოიჩრდილეს და სტუმრისაკენ გაიხედეს. ორივემ იცნო სოფლის ენამყრალი, აფყია და უსაქმური ილა, მაგრამ შიომ მაინც გასძახა:



— თვალსაჩინოს დადექ, რომელი ხარ მანდა?
 — მე ვარ, ილა.
 — რა გინდა?
 — თქვენი ნახვა მომნატრებია.
 — ჩვენი ნახვა კი არა, ენის ქავილი აწუხებს მაგ წუპაკსა, — ჩაიბუტბუტა მიხამ.

— მობრძანდი! — გასძახა მასპინძელმა.
 ილა მერტულად აღვიდას შემორღვეულ ლობეს გადმოაბიჯა, ათრეული ნაბიჯით ამოიარა კიბის საფეხურები, მელიის თვალებით მიიხედ-მოიხედა და წვრილი ხმის წამღერებით წარმოსთქვა: — აქა მშვიდობა!

— მშვიდობა ნუ მოგაკლოს ღმერთმა, — მიაგებეს და მხედურებმა.

ილა პატარა სამფეხა სკამზე ჩამოჯდა. შიომ და მიხამ ერთი კი შეხედეს დაუპატიჟებელ სტუმარს და დაწყებული საუბარი გააგრძელეს.

— მართლაცდა, შიო, ნეტა ისე არ მოგვკლა, რომ ის კაცი არ გვანახვა.

— ის რომ ცხენზე შემოჯდება თურმე და მხრებს გაშლის, ხმალს რომ შემოიქნევს და ერთს შესწყვილებს, მთას ზანზარი გააქვს და ტყეს შრიალი, მტერს კიდევ — კანკალი.

— შენი ღედის ჭირიმე, მღვევივით ყოფილა, ის დღე-გრძელი. მაშ, სად გაგონილა, საქართველოს ჩია მეფე ეკადრებოდეს. სიბრძნეს ბარაქა უღვევი ჰქონია და ძალაც.

— უი, თქვენ მეფე ერეკლეზე ხომ არ ამბობთ? — ჰო, ჰი, ჰი — ჩაიქირქილა ილა, — მე მკითხეთ და მოგახსენებთ, რის მღვევი და მხრები! მეც ეგრე მეგონებოდა, მაგრამ ამას წინათ თელავს ჩავედი სავაჭროდ. საქონლის ბაზრის ქვემოდან რო ვიდექი, უცბად ხალხმა იხუფლა: ჰარიქა, მეფე მობრძანდებო. შევხედე და, რა დავინახე! — ცხენზე მუშტის ოდენა შემომჯდარა და ნაავად-მყოფარ კაკაბივით მოგოგმანობს. ვაკვირდი, სწორე გითხრა, რილასი ეშინია ან მტერსა და, ან მოყვარესა. რა გმირი უნდა იყოს ორი მტკაველა მარჯვენის პატრონი.

მოხუცებმა ბრაზიანი თვალებით შეხედეს ილას. ძლივს იკავებდნენ თავს, მისი სამფეხიდან გადმოგდების სურვილი ჰქონდა ორივეს. ბოლოს, ბოლმა მომდგარმა შიომ ჩაილაპარაკა:

— ვეყო, პირში ენა გაქვს თუ მყრალი ბალახი? შენისთანა უჯილაგო კაცი ჯოჯოხეთშიც არ მოიძებნება. მე და ჩემმა ღმერთმა, ბარში ჩავალ, ჩემი თვალით ვნახავ მეფესა და, კაკაბს თუ არ ემგვანა, თავზე კევრს დაგიტრიალებ.

— მეც აგრე მოვიტყევი, ღმერთი იყოს მოწამე, — მიხამაც დაუდასტურა.

* * *

სამი მხედარი ვარდისუბნის რიყეს გამოსცდა. ნელა მოჰყავდათ ცხენები. შიოს და მიხას დიდი ხანია ამდენი გზა არ გამოევილოთ და დაღლილიყვნენ. მათი ახალგაზ-

რდა თანმხლები, შიოს ბადიში შაქრია ვეზ შედიგებოდა მოხუცების ნელ ნაბიჯს. ხშირად წინ გამოიჭრებოდა და მერე ისევ უკან მიბრუნდებოდა ნოლმე. ხანდახან შედგებოდნენ ახალი კარმიდამოების დასათვალერებლად. უკვირდათ ქალაქის ასე გაზრდა — შენობები გორის ჯვარის ციხის ქვემოთაც გაშლილიყო. ყორჩი-ბაშ-რუსიშვილის ციხის ფერდობებზე ხეხილი ეხარებინათ. „აქაც ეტყობა ერეკლეს ხელი, თორემ წინათ ციხის წინ ხეხილს ვინ გააჩერებდა, ომი აოხრებდაო“ — ასე იფიქრეს.

საერთო აბანოს წინ ჩამოხტნენ შესასვენებლად. დღეს კაცების დღე ყოფილიყო აბანოში და მის წინ თელაველების გარდა ახლო-მახლო სოფლებიდან მოსულ გლეხებსაც კი დაინახავდით. ერთი ფუსფუსი იდგა აბანოს ვიწრო გზით შეუდგნენ აღმართს. ამოათავეს აღმართი და ბატონის ციხის წინ გაშლილ მოედანზე გამოვიდნენ. პირველად, ციხის მთავარი შესასვლელი კარების მალა, კედელში ჩასმულ წმინდა გიორგის ხატს შეხედეს და პირჯვარი გადაიწერეს. შესთხოვეს — შენს მადლს ნუ მოუშლი საქართველოსო. მოედანზე აურაცხელი ხალხი ირეოდა. აქ იყვნენ რუსეთიდან, ისპაჰანიდან, სტამბოლიდან და საიდან არ გინდათ ჩამოსული ვაჭრები. თავისი საქონელი აქლემებზე, ცხენებზე, სახედრებზე აეკიდათ და აქ ქალაქის თავის დასტურს ელოდნენ, რომ შემდეგ ბაზარში გასულიყვნენ. მოედანზე ბევრი ჩარდახიანი ურემიც იდგა. გლეხები მეფესთან სათხოვრით, საჩივრითა და სხვა ათასი საქმისათვის მოდიოდნენ და ციხის წინ დიდხანს უხდებოდათ ლოდინი. წარჩინებულნი და მათი ამაღის წევრები დაუყოვნებლივ შედიოდნენ ციხის ეზოში და აქ ელოდნენ მეფის ნებას.

სამეფო კარიდან ციხეში შესვლაზე კარის მცველებმა მოხუცებს უარი უთხრეს და ურჩიეს ციხის თავი ენახათ. სამეფო კარის საპირდაპირო მხარეს, სამრეკლოს გასწვრივ, მალაქონგურებიან კედლებში ოთხკუთხა ბურჯია ჩასმული, ბურჯის ქვეშ, დიდ თაღებს შუა, რკინის მძიმე კარი ეკიდა. ზემოთ კი, გარეთა მხარეს, პატარა აივანი გადმოკიდებულყო. ეს კოშკი გახლდათ ციხის თავის სადგომი და თუშებიც აქ შედგნენ. ციხის თავს შაქრია აახლეს თხოვნით: შეეშვათ და მეფე ენახებინათ. ეზოში შესვლის ნება მიიღეს. უბრძანეს, დიდი ცაცხვის ქვეშ მოეცადათ. მეფე ალბათ გარეთ გამოსვლას ინებებდა და ისინიც თბილავდნენ. ეზოში მათ ახალგაზრდა კარის მცველი შეუძღვა, რომელსაც დაევალა თუშების პატრონობა.

არც თუ დიდი ხანი იყო გასული, როცა კარის მცველი აქლოშინებული მოვარდა — მეფე ფრანგული დარბაზიდან აქეთ მობრძანდებო.

თუშები გაფაციცებით იყურებოდნენ მაღალ, სამსართულიან სასახლისაკენ და მეფის გამოჩენას ელოდნენ. ფერადმინებიანი კარი მძიმედ გაიღო. მეორე სართულის უზარმაზარ აივანზე მეფე გამობრძანდა. ერეკ-

მხედრები ვარდისუბნის ციხეს გამოხცდნენ. ნელა მოჰყავდათ ცხენები.



ლეს შინა ტანსაცმელი ეცვა და ჩაღმაც არ ეხურა. უკან ექვსი თუ შვიდი მხლებელი მოსდევდა. გაშლილი ქვის კიბეები ნელა ჩამოიარა და ნელივე ნაბიჯით გაუყვა კარის ეკლესიისაკენ მიმავალ გზას. მეფეს ფიქრები შესეოდნენ და ისედაც დაბალი ტანის კაცი, ახლა ზურგში მოხრილი და ნელა მიმავალი, უფრო პატარა ჩანდა.

— ბიჭო, რომელია მეფე? — ჩასჩურჩულა მიხამ კარის მცველს.

— რომელი და, აი, ის, წინ რომ მარტო მიდის.

მოხუცებს გული შეეკუმშათ. ენიშნათ ენამყარალ ილას დაცივნა — მუშტის ოდენაა და ნაავადმყოფარ კაკაბივით მოგოგმანებსო.

* * *

მიხოს ნათლიმაჰა ჰყავდა ნაფარეულში დასახლებული. ბრძოლებში დაუძმობილა ნაფარეულელ დათასა და ძმასავით შეიყვარა. სიბერის ჟამსაც ჰქონდათ ერთმანეთთან სტუმრობა. ბევრჯერ ალაზნის ჭალაში, ზედ

წყლის პირას, მწვადიც აუშენებიათ და თევზიც აუფართხლებიათ. ახლა მისი ხილვა მეტად მოსდომნოდა. მიხამ შიოც დაიყოლია და დათას მოულოდნელად ესტუმრა. ნათლია სიხარულით მიიღეს ნაფარეულელებმა და, უკვე ერთი კვირა იწურებოდა, მაგრამ მათი გაშვება არ ემეტებოდათ. ყოველ საღამოს ახალ ადგილას იშლებოდა სუფრა; სანამ კარგად არ დაბინდებოდა, სანამ სანთლებიც მთლიანად არ ჩაღებოდნენ, არც ღიღინი წყდებოდა, არც კოცონის ტკაცატკუცი და არც სადღეგრძელოების რიგი. წამოსვლის ნამდვილი მიზეზი მასპინძლებისათვის არ უთქვამთ, თვითონ ხანდახან თუ მოიგონებდნენ ენამეფე ილას ნათქვამს — მეფე კაკაბივით დაგოგმანობსო. და, ვაი რომ, მართლა პატარა კაცი ყოფილა! შაქრიას კი არაფერი აგონდებოდა ქეიფისა და დროსტარების მეტი.

მზე შუბის ტარზე იყო გასული და ოჯახი სტუმრების პატივსაცემად, ჭალაში სათევზაოდ, სანადიროდა და სანადიმოდ წასვლის თადარიგს შეუდგა. უცებ, სოფლის ეკლესიის ზარი საბედისწეროდ აზრიალდა და სათვალთვალო ბურჯზე შავი კვამლი ავარდა. ყველამ იგრძნო, მტერი შემოსეოდა ქვეყანას. კარმიდამოები გამოკეტეს. ბავშვები და საქონელი სოფლის შუა მდგარი ციხისაკენ გარეკეს. ვაჟკაცებმა იარაღი აისხეს და ციხესთან იწყეს შეკრება. სტუმრად მყოფი თუშებიც ვერ

დააკავეს მასპინძლებმა. შაქრია მაშინვე ახალგაზრდა მოლაშქრეებს შეუერთდა, ხოლო მოხუცები სათადარიგო ჯგუფს შეეკედლნენ. შაქრიკი მოვიდა — მტერი ყვარელს დასცემია, მაგრამ ვერაფერს გახდა და, ახლა აქეთ მოდისო. აბა, ყოჩაღად იყავით, მალე მეფეც გამოჩნდება ლაშქრითაო. ნაფარეულელი მხედრები ყვარლის გზაზე გამოვიდნენ. სოფლის თავმა ცხენოსნები ტყის მახლობლად ველზე გაფანტა ისე, რომ მტერს ნაწილი ტყეში შეფარებული ჰგონებოდა და ბევრად მოსჩვენებოდა. შორს, შარაზე, ბუქის კორიანტელი ავარდა. მტრები, თვალის მზერის სიშორეზე რომ გამოჩნდნენ, შედგნენ — არ მოეწონათ ნაფარეულელი მხედრების გზაზე შემოხვდომა. მაგრამ მალე შარაზე შეკრულად, შურ-



დულივით გამოეჩანენ. ნაფარეულელებიც შარის გულზე და მის ნაპირზე შეჯგუფდნენ. ახლა უკვე კარგად გამოჩნდა მტრის უკან ჯირითით მომავალი ქართველთა მხედრობა. კედლად აღმართული ნაფარეულელები მტკიცედ დახვდნენ მოძალებულებს. ხელჩართულ ბრძოლაში ქართველებმა მუშტში მოიქციეს მოწინააღმდეგენი. შიო და მიხა მათსავით მოხუცებს განზე გაეყვანათ—შორიდან ვუყუროთ, ჯერ ჩვენებს არაფერი უჭირთო.

სადაც კი ერეკლეს ჩაღმა გამოჩნდებოდა, იქ ბრძოლის ბედიც გადაწყვეტილი იყო. შემოიქნევა ხმაღს და ადგილი ნათიბივით მოშიშვლდებოდა. მისი ომახიანი შემახილი, მისი ადგილიდან ადგილზე ქროლვა, შეურეკლობა მებრძოლებს ალაფრთოვანებდა და მტერს შიშის ზარს სცემდა; სადაც არ უნდა ყოფილიყო, ბრძოლის გულში თუ ნაპირში, ერეკლე ყველგან ცეცხლს ანთებდა.

შიო და მიხა ერეკლეს ჯარასავით ტრიალს თვალს ვერ აცილებდნენ და წამდაუწუმ თავისდაუნებურად ამოიძახებდნენ:

- ჰაი დედასა!
- ბარაქალა შენს მარჯვენას!
- კაცო! ე რა კიტრით ასთლის ხოლმე ამ ურჯულეობსა!

ბოლოს მოხუცებმაც ვერ გაუძღეს გულის ჩქარულვას და ბრძოლის ქარ-ცეცხლს შეერივნენ. დამთავრდა ომი.

მეფის ლაშქრობა წასასვლელად მოემზადა, ერეკლემ ბრძოლის ველს შემოუარა, თვალთ მოზომავად გამოეყვანა ბის საფასური, მტრის დანაკარგი და საკუთარი ზარალიც. ნაფარეულის თავი იხმო და ორიოდვე ბრძანება დაუტოვა. მებუქეს ანიშნა, მისცეს ნიშანი და ლაშქარი თელავის გზას დაადგა.

შორს კიდევ მოჩანდა ცხენოსნების მიერ დატოვებული კორიანტელი. შიოსა და მიხას თვალეზზე ხელი მიერდრილათ და ორივენი უხმოდ გაჰყურებდნენ მიმავლებს. ჯერ კიდევ ცოცხლად ედგათ თვალწინ ბრძოლის სურათები. თითქოს გულიდან დიდი დარდი გადაჰყროდათ, ორივეს თვალეზი უცინოდა, ისევ და ისევ გზას გაჰყურებდნენ. ბოლოს შიო მობრუნდა და სიამით თქვა:

— ეჰე! აკი ვთქვი, საქართველოს ჩია მეფე არ ეკადრება-მეთქი! ჩენი მეფე ერეკლე მღევი არა ყოფილა?! მიხამ კი თავისთვის ჩაილაპარაკა:

— იქნებ და მართლა მხრებით მთებს ვერ შემოუდგება გვერდით ერეკლე, მაგრამ ღმერთიც ხედავს და კაციც, რომ ნამღევილი გმირის მარჯვენას სიმოკლე არასოდეს არ ეძრახვის.





კელლის გაზატი

სკოლის კომკავშირის კომიტეტის კარი ორმა პიონერმა შეაღო. მდივანი ფეხზე იდგა და ამხანაგებს გაცხარებით ესაუბრებოდა.

— ამხანაგო, ოთარ, ჩვენ თქვენგან...
— მახსოვს, მახსოვს... თქვა ოთარმა და მოიღუშა. — მაგრამ რა გიყვით, ვერ მოვიცალე. თანაც...
გულნატკენი ბავშვები უკან გაბრუნდნენ.

— არაფერია, — მიუბრუნდა ოთარი კომკავშირელებს, — თვითონ უნდა შესძლონ!

იციო, რაში იყო საქმე? ერთი იმ პიონერთაგანი რაზმის კელლის გაზეთის რედაქტორია, გოგონა — სარედაქციო კოლეგიის წევრი. უნდათ, რომ მათი რაზმის კელლის გაზეთი კარგი იყოს, ძალიან კარგი. ჰოდა, დადიან ასე, შეუჩნდებიან უფროსებს და თხოვენ: — თქვენი ჭირიმეთ, მოწინავე დაგვიწერეთ, კარიკატურა დაგვიხატეთ, გაზეთი მხატვრულად გაგვიფორმეთ!.. ზოგი მართლაც უწერს, უხატავს, ეხმარება ბავშვებს. ნათელას დედას საბეჭდი მანქანა აქვს. აიღო ის წერილები და ნახევარ საათში პატარ-პატარა ფურცლებზე გადაბეჭდა, უშველა გაჭირვებაში მყოფ რედაქტორს. რედაქტორმაც საკუთარი ხელით, დიდის ამბით ჩამოკიდა სკოლის დერეფანში გაზეთი. მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, არავინ გაეკარა. მანქანაზე გა-

დაბეჭდილი და მერე უშნოდ მიწებებული წერილები!.. ერთი ნახატი რაა, ისიც არ მოჩანს გაზეთზე, რადგან სკოლის აღიარებულმა მხატვარმა — მეთაკლასელმა ნუგზარმა უარი სტიკია სარედაქციო კოლეგიას, როდემდე უნდა გიხატოთ?

მართლაცა, როდემდე უნდა უწერონ, უბეჭდონ და უხატონ უფროსებმა სარედაქციო კოლეგიას? იმ დალოცვილებმა, მიიხედ-მოიხედონ ირგვლივ: უკანა მერხზე რომ ციციქნა გოგო ზის, — ისეთი კოხტა ხელი აქვს, ისე ჩაწიკწიკებულად წერს, შეხედვა გესიამოვნება. ანდა გია! მართალია, ფეხბურთს არის გადაყოლილი, მაგრამ ხატვაც რომ ემარჯვება! აკი, ბოტანიკის მასწავლებელმა თქვა — გიას მიბაძეთ, რა სუფთად, ლამაზად იხატავს ხოლმე ალბომში მცენარეებს და ყვავილებსო. არა, რედაქტორს რომ მაინცდამაინც ნამდვილი მხატვარი აინტერესებს! იმ დღეს, წითელლოყება მედიკომ ლექსი გამოიგონა. მთელმა კლასმა დაიხუპირა ის ლექსი:

„შენ ჩვენო ბიჭო გელოო,
როგორ არ გითხრა „ქებაო“,
პურის ჭამაზე მარჯვე ხარ,
სწავლაზე წელი გწყდებოა“.

გელას მართლაც მერხის ქვეშ შეეყო თავი და ილუკმებოდა. ისიც სწორედ იმ დროს, როცა მთელი კლასი სულგანაბული უსმენდა ლიტერატურის მასწავლებელს.

მაშ, პოეტიც გყოლიათ კლასში! ამ ლექსს რომ გიამ ქვეშ ვაშლით პირგამოტენილი გელა მიუხატოს, ვითომ რა დაშავდება? მერე რა, თუ ნამდვილ გელას არ ემგვანება. ეს სულაც არ იქნება დიდი უბედურება.

როდესაც სკოლაში დიდი აკაკისადმი მიძღვნილი საიუბილეო დილა გაიმართა, თქვენმა რაზმელმა თინამ პატარა, მაგრამ შინაარსიანი სიტყვა თქვა. სიტყვა ყველას მოეწონა, სულ აქებდნენ; მერე თინამ ლიტერატურულ საღამოშიც მიიღო მონაწილეობა: ისე გამართული, ლიტერატურული ენით გაარჩია იმ საღამოზე მოწვეული ერთი ცნობილი პოეტის შემოქმედება, რომ პოეტმა მადლობის ნიშნად შუბლზე აკოცა.

ესეც თქვენი ჟურნალისტი! მაშ რაღად დადიხართ, რაღად აწუხებთ ყოველი ნომრის გამოსვლის წინ უფროსებს, რომლებიც სხვა საქმეებით არიან დატვირთულნი.

თუმცა არა, როგორ არა, უფროსებიც უნდა დაიხმაროთ! — რჩევადარიგებას როდი დაგზარდებიან. მაგრამ მაინც, გაზეთს თქვენი ხელი უნდა აჩნდეს, მთლიანად თქვენი. აი, მეორე რაზმში, ერთი პიონერის მშობელი ჟურნალისტია, ნამდვილი ჟურ-

ნალისტი. იგი ჩვენი რესპუბლიკის ერთ დიდ გაზეთში მუშაობს. ბავშვები ხშირად მიაკითხავენ ხოლმე ამ უფროს მეგობარს. იგი ყოველთვის სიამოვნებით ეხმარება უმცროს კოლეგებს. სწორედ მან ასწავლა პიონერებს გაზეთის მაკეტის შედგენა. თქვენც ხომ გაინტერესებთ როგორ დგება მაკეტი? პოდა, აი მოგიყვებით, თუ როგორ შეუდგინა მაკეტი ბავშვებს ნამდვილმა ჟურნალისტმა.

აილო თეთრი, სუფთა ფურცელი, სწორედ თქვენი გაზეთის ფორმატისა. მაგრამ, რა თქმა უნდა, პატარა, შემცირებული სახით. თქვენ უკვე იცით, რამდენ მასალას უშვებთ გაზეთში, რა მოცულობის იქნება თითოეული მათგანი. ჟურნალისტმაც აილო ფანქარი და ფურცელზე, ე. ი. მაკეტზე, მოხაზა ადგილები, თუ სად რა უნდა წავიდეს; უფროსმა მეგობარმა აუხსნა რაზმის მხატვარს, რომ მთავარი მასალა აუცილებლად თვალსაჩინო ადგილზე უნდა მოთავსდეს, ასეთი ადგილი კი მარცხენა მხარეა, რადგან კითხვა ამ მხრიდან იწყება. გაზეთის გაფორმება დაფიქრებასა და გემოვნებას მოითხოვს. კარგად გაფორმებული გაზეთი მიზიდავს მკითხველს. თქვენს მაკეტში ნახატებისა და ფოტოების

ადგილებიც კი უნდა აღნიშნოთ. სათურები სხვადასხვანაირად უნდა დაწეროთ. თვითონ წერილებიც სხვადასხვა ხელით უნდა დაიწეროს. ზოგ კოლეგიას ერთი პიონერი ჰყავს ხოლმე ამოჩემებული: „კარგი ხელი აქვსო“. მერე ეს „კარგი ხელის“ პატრონი ჩაჯდება პიონერთა ოთახში და მთელი დღე გაზეთის გადაწერას ანდომებს. ასე კი არ ვარგა. რამდენიმე ხელმა უნდა შეავსოს გაზეთი. ზოგი კობტად ამრგვალებს ასობებს, ზოგს მოგრიძო „შრიფტი“ მოსწონს და ასე შემდეგ. გაზეთიც სხვადასხვა ხელის წყალობით მრავალფეროვან შთაბეჭდილებას ტოვებს. ესეც ხომ სასიამოვნოა თვალისათვის!

ძალიან მაღლობელი დარჩენს ბავშვები. რაზმის მხატვარმა თავისთვის ბევრი რამ ჩაინიშნა, წამოიღო მაკეტი და იმ დღიდან დაიწყო კობტა რთული, მაგრამ მეტად საინტერესო მუშაობა.

მხატვარმა აილო დიდი, კრიალა ჩარჩო. ზოგან ორნამენტიც გამოიყენა, ასევე მოხატა ყველა ლექსის სათურები. მეტად ლამაზად იყო დახატული თვით გაზეთის სათური: „ჩვენი საყვირი“. ამაში კი ნამდვილი მხატვარი დაიხმარეს.

შრომამ თავისი შედეგი გამოიღო: გააკრეს თუ არა კედელზე ახალი გაზეთი, მას სხვა რაზმელებიც კი შემოეხებინენ. არ გეგონოთ, რომ გაზეთში ბევრი წერილი იყო გამოქვეყნებული. მაგრამ, რაც იყო, საინტერესოდ და შინაარსიანად აშუქებდა რაზმის ცხოვრებას. მერე სათაურებიც რა სხარტად იყო შერჩეული! კორესპონდენტები გვიამბობდნენ სწავლაზე, დისციპლინაზე, სპორტზე; იმაზე, თუ როგორ ეუფლებიან პიონერულ საფეხურებს, როგორ მიჰქრიან მათი ეკიპაჟები ორბიტისაკენ... ბავშვებმა ბევრი იცინეს იუმორისტულ ლექსზე, სადაც ორი ბუტია გოგონა იყო კბილგაკრული. გაწყრინებულები, წარბი შეჰკრეს და ახლა ლექსის ავტორს გაებუტნენ. მაგრამ, რაზმმა იცოდა, რომ სიმართლედ ავტორის მხარეზე იყო. ამიტომ მხარში ამოუდგა მას: „მოყვარეს პირში უძრახეო!“ — მიძახეს ბუტიებს. ალბათ განაწყენებულები დაფი-



ქრდებიან და მალე მივლენ იმ დასკვნამდე, რომ გაზეთის სარედაქციო კოლეგია მართალი იყო. ცელქებსა და ჩამორჩენილებს გულმა უაზრათ — ამიერიდან ჩვენც არ გავგვრას გაზეთმა კბილიო და დადინჯდნენ, წიგნებს ჩაუჯდნენ. აი, რა კარგი შედეგი გამოიღო გაზეთის ახლებურმა პირველმა ნომერმა.

ერთ დღეს რედაქტორი კლასში შემოიჭრა. მას ხელში რამდენიმე რუსული ჟურნალი „პიონერი“ ეკავა. „აი!“ — თქვა და ჟურნალები მერხზე დაალაგა. სარედაქციო კოლეგიის წევრები შემოეხებინენ თავიანთ კოლეგას. თურმე, მოსკოვში, ჟურნალმა „პიონერმა“ თავის ფურცლებზე ახალი განყოფილება გახსნა. „სკოლის ჟურნალისტთა კურსები“ — კობტად ეწერა ამ განყოფილების თავზე. „მეცადინეობა პირველი“ — წაიკითხეს ჩვენი რაზმის ჟურნალისტებმაც და ჩაუჯდნენ მეცადინეობას. რამდენ საინტერესო რამეს გაიგებენ ისინი, რამდენი მათი მოყვარული უფროსი მეგობარი დაარიგებს, ასწავლის, თუ როგორ დაეუფლონ ყველა სარედაქციო კოლეგისათვის სანუკვაროცნებას: მკითხველი გულისფანცქალით ელოდებოდას ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას.



რ. ირემაშვილი



*** საკრებულო

გამოჩენილი ამერიკელი მწერალი და პუბლიცისტი მარკ ტვენი 1835 წელს ფლორიდაში, პროვინციელი მოსამართლის ოჯახში დაიბადა. მან ლიტერატურულ მოღვაწეობამდე მრავალი პროფესია გამოიცვალა: იყო ასოთამწყობი, მსახურობდა ჯარში, მუშაობდა გემზე... მარკ ტვენმა თავი ისახელა როგორც პატარა მოთხრობების უბადლო ოსტატმა.

მისი მოთხრობები: «პეკლბერ ფინის თავგადასავალი», «მათხოვარი და უფლისწული», «ტომ სოიერის თავგადასავალი» ალბათ თქვენც გაქვთ წაკითხული, ახლახან, გამოჩენილი მწერლის დაბადებიდან 125 წელი შესრულდა. მსოფლიოს პროგრესული ადამიანები სიყვარულით აღნიშნავენ ამ თარიღს და მადლიერების გრძნობით იგონებენ მის სახელს.

მარკ ტვენი

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

სახელისწილო ზუსთულა

ეს ამბავი ოლივერ კრომველის ხანაში მოხდა. ყველაზე ახალგაზრდა პოლკოვნიკი ინგლისის რესპუბლიკის არმიაში მეიფერი იყო, რომელსაც იმ ხანად 30 წელი შეუსრულდა. ახალგაზრდობის მიუხედავად მას ვეტერან ჯარისკაცად სთვლიდნენ, რადგან 17 წლის ასაკიდან სამხედრო სამსახურსა და ომებში იყო გამოწრთობილი. მას მრავალ ბრძოლაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული, დღითი-დღე წინ მიიწევდა სამსახურში და ამხანაგების გულითადი სიყვარულით სარგებლობდა. მაგრამ ახლა დიდი უბედურება შეემთხვა: მის მომავალს შავი ღრუბელი დააწვა თავზე.

ზამთრის საღამო დადგა; ფანჯრის გადაღმა უკუნი და ქარბუქია, სახლში კი მძიმე სიჩუმეა ჩამოწოლილი. პოლკოვნიკმა და მისმა მეუღლემ თავისი უბედურება უკვე გამოიგლოვეს, ახლა კი ისლა დარჩენიათ, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ისხდნენ, უყურონ ბუხარში მოგიზგიზე ალს, იფიქრონ და იცადონ. მათ დიდხანს არ მოუხდებათ ცდა, ეს კარგად იცის ორივემ.

მათ ერთადერთი გოგონა ჰყავთ, მათი ხეტი და სალოცავი—შვიდი წლის აბი; ახლა წუთი-წუთს ელიან მის შემოსვლას, იგი ძილის წინ უნდა გამოეთხოვოს მშობლებს, ძილი ნებისა უნდა უსურვოს მათ. პოლკოვნიკმა პირველმა დაარღვია სიჩუმე.

— მოიწმინდე ცრემლები, ნუ დავანახებთ ბავშვს ჩვენს უბედურებას.

— ოჰ, რომ შემეძლოს, რომ შემეძლოს...

— ჩუ, ჩუ, საყვარელო... მოდის მგონი.

კარებში საღამური პერანგის ამარა, გრძელკუთხულებიანი გოგონა შემოვიდა, მამას შემოეხვია. მამამ აიყვანა და კოცნა დაუწყო, —ერთხელ, ორჯერ, სამჯერ...

— მამიკო, არ შეიძლება ასე! სულ გამიჩეჩე თმები!

— ო, ძალიან მწყინს, ძალიან, ჩემო პატარავ, მაპატიებ ხომ?

— გაპატიებ, რასაკვირველია, მაგრამ მართლა გეწყინა? თუ განგებ ამბობ?

— აი, შენ თვითონ გასინჯე, აბი.—მან ხელები სახეზე მიიფარა და მეტი დამაჯერებლობისათვის ქვითინი ამოუშვა. შეწუხებული გოგონა მამას ხელებზე ეცა.

— ნუ ტირი, მამი, ნუ ტირი. აბი მეტს აღარ იზამს. მამიკო. გეხვეწები!

იგი მთელი ძალით ცდილობდა გაეშალა მამის თითები, ერთი წამით ეს მოახერხა კიდევ, დაინახა მამის სახე და დაიყვირა:

— ახ, შე მატყუარა! შენ თურმე არ ტირი! იგონებ. აი, აბი ახლავე დედასთან წავა. მე შენთან აღარ ვიმეგობრებ.

იგი ჩამოხტა მამის მუხლებიდან, მაგრამ მამამ არ გაუშვა: ნუ წახვალ, მოიცადე, მოიცადე, გენაცვალე, ჩემი ბრალია, მე მართლაც საძაგლად მოგატყუე. მაპატიე და ამის შემდეგ შეგისრულე ყველაფერს, რასაც მიბრძანებ... ასე დამყარდა მშვიდობა. გოგონას კვლავ გაუბადრა სახე და დაიძახა: «აბა, ზღაპარი, ზღაპარი!»

— ჩუ!
უფროსებს სუნთქვა შეეკრათ, სმენად გადაიქცენ,

ნაბიჯები?! ოდნავ ყურმოსაკრავი ხმაური. სულ უფრო ახლოს, ახლოს, ბოლოს პირდაპირ სახლთან ისმის ფეხის ხმა, მაგრამ წამიც და, ხმაური სადღაც შორს იკარგება. უფროსებმა შევებით ამოისუნთქეს. მამამ თქვა:

— ზღაპარი? მხიარული ზღაპარი?

— არა, არა, მამა, რაიმე საშინო.

— კარგი. ოდესღაც ცხოვრობდა სამი პოლკოვნიკი... და აი, მათ ერთი ბრძოლის დროს დანაშაული ჩაიდინეს.

უჩვეულო სიტყვებმა განაცვიფრეს გოგონა. ცნობის-მოყვარეობისაგან თვალედაჭყეტილმა მამას მიმართა:

— ეს გემრიელი რაღაცაა, მამა?

მშობლებს კინალამ გაეღიმათ. მამამ უპასუხა:

— არა, საყვარელო, აქ სხვა ამბავია. მათ გადააპარბეს თავიანთ უფლებებს.

— ამის შეჭმა თუ შეიძ...

— არა, არც ეს იჭმევა. ბრძოლაში, რომელიც უკვე წაგებულ იყო, მათ ცრუ იერიშის ჩატარება უბრძანეს, იმ მიზნით, რომ მიეზიდათ მტრის მთავარი ძალები და რესპუბლიკის ჯარისათვის უკან დახევის საშუალება მიეცათ. მაგრამ ზედმეტ გულმოდგინებაში მათ დაარღვიეს ბრძანება: ცრუ იერიში ნამდვილ იერიშად გადააქციეს, აიღეს მტრის სიმაგრე და ბრძოლა მოიგეს. ამ საქციელმა განარისხა გენერალ-პროტექტორი: სიმაშაცისათვის პოლკოვნიკები კარგად დააჯილდოვა, ბრძანების შეუსრულებლობისათვის კი სამივე ლონდონში გადმოაგზავნა, სადაც სასამართლო გადაწყვეტს იცოცხლებენ თუ დაიხოცებიან ისინი.

— ეს დიდი გენერალი კრომველია არა, მამა?

— დიახ!

— იცი, მამა, მე იგი ვნახე! როდესაც ის ჩვენი სახლის წინ გაივლის ხოლმე თეთრ ცხენზე, თავისი ჯარისკაცებით, იგი ისეთია... ისეთია... სულ ისე იყურება, თითქოს ვიღაცას უწყურებოდეს. რომ იცოდე, როგორ ეშინიათ მისი მაგრამ მე სრულიადაც არ მეშინია. მე იგი ისეთი თვალით არ მიყურებს, როგორც სხვებს.

— უ, შე ენატიკტიკავ! პოდა, დაპატიმრებული პოლკოვნიკები ლონდონში ჩაიყვანეს, პატიოსანი სიტყვა დაადებინეს და ცოლ-შვილთან გამოსამშვიდობებლად შინ გაუშვეს.

— ჩუ!—უფროსები გაირინდნენ! ისევ ნაბიჯები. გაფითრებულმა დედამ სახე ქმრის ზურგს ამოაფარა. ნაბიჯების ხმა კვლავ მიწყნარდა.

— ისინი დღეს დილით ჩამოვიდნენ ლონდონში.

გაკვირვებულმა ბავშვმა ფართოდ გააღო თვალები.

— როგორ, მამიკო! ეს მართლა ნამდვილი ამბავია?

— კი, საყვარელო.

— სახლში მისვლამდე ისინი ტაუერში იყვნენ, სამხედრო სასამართლოზე. სამივე დამნაშავედ სცნეს და დახვრეტა გამოუტანეს.

— მათ მოჰკლავენ, მამა?

— კი, მოჰკლავენ!

— შენ იცნობ მათ?

— კი, საყვარელო!

— ოო, მე რომ ვიცნობდე მათ! მე მიყვარს პოლკოვნიკები. შენ როგორ გგონია, მაკოცებდნენ?

— ერთი მათგანი გაკოცებდა, აუცილებლად გაკოცებდა... მოდი, ახლა მის მაგივრად მე გაკოცებ.

— სასამართლოს გადაწყვეტილებამ ტრიბუნალის ზოგიერთი წევრი ძალზე დაალონა. ისინი წავიდნენ პროტექტორთან და უთხრეს, რომ მათ შეასრულეს თავიანთი ვალი, რადგან ეს მათი მოვალეობა იყო. მაგრამ ახლა გულნატკენებმა მუდარა დაუწყეს გენერალს, რომ სამიდან მხოლოდ ერთი რომელიმე დაესაჯა. დისციპლინის განსამტკიცებლად და საერთოდ, ჭკუის სასწავლებლად ერთიც საკმაო იქნებო, ფიქრობდნენ ისინი. მაგრამ ლორდი-პროტექტორი უღმობელი იყო. ბოლოს, დიდი მუდარის შემდეგ, თავის ოთახში ჩაიკეტა და მსაჯულებს მოცდა უბრძანა. ოთახიდან გამოსულმა მხოლოდ ერთი წინადადება თქვა: «კენჭი უნდა ვუსყაროთ, ორი მათგანი ცოცხალი დარჩება, ერთი დაისჯება».

— უი, მართლა ასე გააკეთეს, მამა? მაშ რომელი უნდა მოკვდეს? როგორ მეცოდება!

— არა, შვილო, მათ ასეთ კენჭისყრაზე უარი თქვეს:

— რატომ?

— ის, ვინც თავის ხელით კენჭს ამოიღებს, თვითონვე გამოიტანს თავის სასიკვდილო განაჩენს, ეს კი თვითმკვლელობა იქნებოდა; ისინი კი ქრისტიანები არიან, ხოლო ბიბლია უფლებას არ აძლევს ადამიანს თავი მოიკლას. მათ უკან დაუბრუნეს პროტექტორს თავისი სიტყვები და დაუმატეს, რომ ისინი ელიან განაჩენის აღსრულებას.

— ეს რას ნიშნავს, მამა?

— ეს... ეს იმას ნიშნავს, რომ სამივე დაიხვრიტება!

— ჩუ!

ქარია? არა. ტრამ-ტრამ-ტრამ-რრ-ბრამ-დამ-დამ-დამ... ფეხის ხმა.



იგი იატაკზე ჩახტა, კარისაკენ გაიქცა და გახარებულმა შესძახა:— შემოდით, შემოდით! ვაშა! აი, მამიკო, გრენადიერები.

— გენერალ-პროტექტორის სახელით კარი გააღეთ!
— რა კარგია, ესენი ჯარისკაცები არიან, მე ისინი ძალიან მიყვარს. მამიკო, მე გავუღებ კარებს რა!

იგი იატაკზე ჩახტა, კარისაკენ გაიქცა და გახარებულმა დაიძახა:— შემოდით, შემოდით! ვაშა! აი, მამიკო, გრენადერები.

ათეული ფეხაწყობილი შემოვიდა და ერთმწყრივად გაიჭიმა. ოფიცერი დამხედურებს მხედრულად მიესალმა. უხედური პოლკოვნიკი ადგა, თვითონაც მიესალმა. სულიერი ტანჯვისაგან სასომიხილი ცოლი ქმარს გვერდში ამოუდგა. ბავშვი კი ამ წარმოდგენას მოციმციმე თვალებით უყურებდა...

ხანგრძლივი ხვევნა, გამომშვიდობება და შემდეგ ოფიცრის ბრძანება: «წინ, წინ, ტაურისაკენ!». მტკიცე ნაბიჯით გავიდა პოლკოვნიკი სახლიდან, მას ათეული მიჰყვა და კარები გაიხურა.

— დედიკო, ამაზე შესანიშნავი რა არის? მამა ტაურერში წაიყვანეს, იგი იმ გმირ პოლკოვნიკებს თავისი თვალის ნახავს! იგი...

— მოდი ჩემთან, ჩემო სულელო, ჩემო სულელო გოგო!

მეორე დილას, დარდით გულმოკლული დედა საწოლიდან ვეღარ წამოდგა. ექიმი და მოახლე ერთი წუთითაც არ აცილებდნენ თვალს. სახლში მხოლოდ ჩურჩულით საუბრობდნენ. აბის დედასთან შესვლა, ხტუნვა და თამაში აუკრძალეს—დედა მძიმედ იყო ავად.

თბილ მოსასხამში გახვეული გოგონა სახლიდან გამოვიდა და ქუჩაში დაიწყო თამაში.

უცბე მას თავში აზრი მოუვიდა: «რა უცნაური და უსამართლო ამბავია, რომ ასეთ დროს მამა ტაურერში დატოვეს. დედა ავადაა. რაღაც უნდა გაკეთდეს»...

საათით გვიან, სამხედრო ტრიბუნალი გენერალ-პროტექტორს წარუდგა. მოღუშული და მკაცრი გენერალი ფეხზე იდგა და წინგადახრილი მაგიდაზე თითებით იყო დაყრდნობილი. იგი უსმენდა. სასამართლოს წევრმა თქვა:—«ჩვენ ვთხოვთ, ვემუდარეთ მათ, მაგრამ კენჭისყრაზე უარი თქვეს».

პროტექტორის სიბრაზისაგან სახე მთლად გაუშავდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

კარგა ხანს დუმდა, შემდეგ წარმოსთქვა:—«სამივე არ მოკვდება, კენჭისყრა უნდა მოხდეს»... და ბრძანა:—«მომიყვანეთ პატარა ბავშვი, რომელსაც კი პირველად შეხვდებით ქუჩაში».

ბრძანება მალე შესრულდა, აბი შემოიყვანეს. შემო-

ვიდა თუ არა, უმაღლესი დიქტატორისაკენ გაემართა. დიქტატორს, რომლის სახელის გაგონებაც კი შიშის ზარს სცემდა ყველას, იგი მუხლებზე აუცოცდა და უთხრა:

— მე თქვენ გიცანით, სერ, თქვენ ლორდი-პროტექტორი ხართ. მე თქვენ გნახეთ, როდესაც ჩემს სახლთან ჩაიარეთ. მე წითელი კაბა მეცვა, აი, ქვევით რომ ლურჯი ზოლები აქვს, გახსოვთ?

პროტექტორის მრისხანე სახე ნაზმა ღიმილმა დაჰფარა, თავის პასუხში იგი ცდილობდა დიპლომატობა ეხმარა.

— ააა... მოიცა, მოიცა, გავიხსენე მგონი...

— მე სახლის წინ ვიდექი, ჩემი სახლის წინ. აბა მოიგონეთ...

— სწორი ხარ, კეთილო გოგო, მე უნდა მახსოვდეს. მაგრამ, იცი...

ბავშვმა ნაწყენი კილოთი გააწყვეტინა:—არა, თქვენ არაფერი გახსოვთ, მაგრამ, სამაგიეროდ, მე არ დამავიწყდით.

— ახლა ნამდვილად მრცხენია, მაგრამ ამის შემდეგ მე შენ არასოდეს დაგივიწყებ, პატროსან სიტყვას გაძლევ. მაპატიებ ხომ? და ჩვენ სამუდამოდ კეთილი მეგობრები ვიქნებით. კარგი?

— კი, რასაკვირველია, მე თქვენ გაპატიებთ, თუმცა ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეგძლოთ თქვენ ყველაფერი ამის დავიწყება. თქვენ ალბათ ძალიან გულმაგიწყი კაცი ხართ, თუმცა ეს მეც მომდის ხოლმე ხანდახან. მე თქვენ აუცილებლად გაპატიებთ, რადგან ჩემი აზრით თქვენ კეთილი და კარგი კაცი ხართ, აი, ისეთი, როგორც მამაჩემია, მხოლოდ ისე უნდა ჩამიხუტოთ, როგორც მამა ჩამიხუტებს ხოლმე—აქ სიცივეა.

— ჩავიხუტებ, რამდენჯერაც გინდა, იმდენჯერ ჩავიხუტებ. ამის შემდეგ ჩემი მეგობარი იქნები არა? შენ ჩემი გოგონა გამახსენე. ახლა იგი პატარა არ არის, მაგრამ, ოდესღაც შენსავით კარგი და ნაზი იყო.

— თქვენ იგი ძალიან—ძალიან—ძალიან გიყვარდათ?

— აბა, თვითონ განსაჯე, იგი ბრძანებლობდა—მე ვუსრულებდი.

— ჩემი აზრით, თქვენ პირდაპირ შესანიშნავი ხართ. გინდათ მაკოცოთ?

— დიდი სიამოვნებით, და ამას უდიდეს პატივად ჩავთვლი. ეს კოცნა—შენ, ეს კიდე—ჩემს შვილს. შენ მთხოვე, მაგრამ შეგეძლო ასევე იოლად გებრძანებია ჩემთვის, რად-



— მე თქვენ გიცნობთ, სერ, თქვენ ლორდი-პროტექტორი ხართ.

გან შენ ახლა მის ნაცვლად ხარ აქ და მე შენი ყოველი ბრძანება უნდა შეეასრულო.

ასეთმა პატივმა გოგონა ისე გაახალისა, რომ ტაში შემოჰკრა, მაგრამ უცებ მას ჯარისკაცთა მწყობრი ნაბიჯის ხმა მოესმა.

— ჯარისკაცები! ჯარისკაცები! ლორდო-პროტექტორო, აბის მათი ნახვა სურს.

— კარგი, ძვირფასო, მაგრამ ცოტა მოიცადე, მე შენთან ერთი სათხოვარი მაქვს.

ამ დროს ოთახში ოფიცერი შემოვიდა: «ისინი აქ არიან, თქვენო უდიდებულესობავ» — თავი დახარა და ოთახიდან გავიდა.

ერის მეთაურმა აბის ორი თეთრი და ერთი სისხლივით წითელი ლუქის ბურთულა მისცა. ეს უკანასკნელია სწორედ ის ბურთულა, რომელმაც სიკვდილი უნდა მოუტანოს ერთ-ერთ პოლკოვნიკს.

— უი, წითელი! რა წითელია, რა ლამაზი, ეს მე!

— არა, მშვენიერო, ეს ბურთულეები სხვისია. გადი, აი, იმ კარებში, ზურგსუკან ხელეზგადაჯვარედინებულ სამ კაცს დანახავ. მიდი მათთან, თითო ბურთი ჩაუდე ხელში და უკან გამოიქეცი.

პატარა ჯადოქარი კარებში გავიდა და ერთ წუთს ინტერესით ათვალიერებდა სიკვდილის ოთახს. ჯარისკაცთა და მსჯავრდადებულთა გაქვავებულ ფიგურებს. უცებ მას სახე გაებადრა და თავის თავს უთხრა: «ერთი მათგანი მამაჩემია, ვიცანი, მას ხომ ყველაზე ლამაზი ზურგი აქვს». ხტუნვით წინ წავიდა, კისკისით თავი გაყო მამის მკლავეკვამ და დაიძახა:

— მამა, მამა! უყურე რა გაქვს ხელში. ეს მე მოგაცი!

მამამ დახედა წითელ ბურთულას, შემდეგ დაიჩოქა და თავის უნებლიე ჯალათს მოეხვია.

ჯარისკაცები, ოფიცრები და გადარჩენილი პატიმრები, ამ საშინელი ტრაგედიის შემყურენი, ერთ წუთს გაქვავებულნი იდგნენ, შემდეგ თვალეზი ცრემლით აევსოთ. ტიროდნენ ვაჟკაცები და არც ერთს არ სცხვენოდა თავისი ცრემლებისა. რამდენიმე წუთის განმავლობაში არავის დაურღვევია ეს მოკრძალებული სიჩუმე. ბოლოს, განწირულ პატიმართან ოფიცერი მივიდა და უთხრა:

— ძალიან ვწუხვარ, სერ, მაგრამ უნდა შევასრულო ჩემი მოვალეობა.

— მოვალეობა? რა მოვალეობა? — იკითხა ბავშვმა.

— უნდა წავიყვანო!

— მაგრამ თქვენ ამას არ გააკეთებთ. დედაჩემი ავად გახდა და მამა მალე სახლში უნდა იქნეს.

იგი გაუსხლტა მამას ხელიდან, მოუარა, ზურგზე შეახტა და ყელზე შემოხვია ხელები.

— წავიდეთ, მამი, აბი უკვე მზად არის.

— საცოდავო ჩემო შვილო, მე არ შემიძლია წამოსვლა, მე ამათ უნდა გავყვე.

გოგო ძირს ჩამოხტა. გოცებულმა აქეთ-იქით მიმოიხედა. შემდეგ ოფიცერთან მიიბრინა, გულმოსულმა ფეხი იატაკს დაჰკრა და დაიყვირა:

— მე ხომ გეუბნებით, რომ დედაჩემი ავადაა. თქვენ უნდა გესმოდეთ რასაც გეუბნებიან, თქვენ ვალდებული ხართ!



— ო, საცოდავო გოგონა! ღმერთო ჩემო, რომ შემეძლოს... მაგრამ მე სავესებით უძღური ვარ... ათეულო, ყურადღება!.. სწორდით!

აბი უცებ გაპქრა ოთახიდან და იმწამსვე უკან შემობრუნდა: ლორდ-პროტექტორს ხელში ჩაფრენოდა და თან მოჰყავდა. მის გამოჩენასთან ერთად ყველა იქ მყოფი გაიჭიმა. ოფიცრები მხედრულად მიესალმნენ.

— შეაჩერე ესენი, სერ! დედაჩემი ავადაა, მამის ნახვა უნდა. მე ვთქვი ეს, მაგრამ ისინი მე არ მისმენენ და მამა მაინც მიჰყავთ.

— მამაშენი? ეს შენი მამაა?

— რასაკვირველია. იგი ყოველთვის ჩემი მამა იყო. ნუთუ მე ყველაზე ლამაზ წითელ ბურთულას სხვას მივცემდი?

პროტექტორის სახეზე უდიდესი შეშფოთება გამოიხატა. მან თქვა:

— ო, ღმერთო, მიშველე. ეშმაკის შთაგონებით მე ისეთი ცოდვა ჩავიდინე, რომლის მსგავსი არასოდეს ჩაუდენია ადამიანს და თან არაფრის გაკეთება არ შეიძლება, არაფრის. რა ვქნა, როგორ მოვიქცე?


ნაწყენმა აბიმ მოუთმენლად წამოიძახა:

— რატომ არ უბრძანებთ მის გათავისუფლებას? — და ქვითინი ამოუშვა. — თქვენ ეს-ეს არის დამპირდით, რომ მე ვბრძანებ და თქვენ შეასრულებთ, პირველსავე თხოვნაზე კი უარს მეუბნებით.

ნაზმა ღიმილმა გადაურბინა პროტექტორის მკაცრ სახეს. მან პატარა დესპოტს თავზე დაადო ხელი და თქვა: საოცარო ბავშვო, გამადლობ, რომ პირობა მომაგონე.

— ოფიცერო! შეასრულეთ. მისი ბრძანება — იგი ახლა ჩემი სახელით ლაპარაკობს. პატიმარი ნაპატივებია! გაანთავისუფლეთ იგი!

საქართველოს რესპუბლიკის რუკა



1. მაროკო. 2. სამხრეთ მაროკო (ესპანეთი). 3. საჰარა (ესპანეთი). 4. შავრიტანია. 5. ალჟირი. 6. ტუნისი. 7. ლიბია. 8. არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა. 9. გაზმა (ბრიტ.). 10. მალის ფედერაცია. 11. ნიგერის რესპუბლიკა. 13. ჩადის რესპუბლიკა. 14. სუდანი. 15. ერიტრეა. 16. სომალი. 17. ეთიოპია. 18. სომალის რესპუბლიკა. 19. გვინეა (პორტუგალია). 20. გვინეის რესპუბლიკა. 21. სიერა-ლეონე (ბრიტ.). 22. ლიბერია. 23. რესპუბლიკა სპილოს ძვლის ნაპირი. 24. ზემო ვოლტას რესპუბლიკა. 25. განის რესპუბლიკა. 26. ტოგოს რესპუბლიკა. 27. დაგომის რესპუბლიკა. 28. ნიგერია. 29. კამერუნი (ბრიტ. ზედახზ.). 30. რიომუნი (ესპანეთი). 31. კამერუნი. 32. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა. 33. გაბონი. 34. კონგო. 35. კონგოს რესპუბლიკა. 36. უგანდა (ბრიტ.). 37. კენია (ბრიტ.). 38. რუანდა ურუნდი (ბელგიის ზედახზ.). 39. ტანზანია (ბრიტ. ზედახზ.). 40. ანგოლა (პორტ.). 41. ჩრდილო როდეზია (ბრიტ.). 42. სამხრეთ როდეზია. 43. ნიასალენდი (ბრიტ.). 44. მოზამბიკი. 45. სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა. 46. ბეჩუანალენდი (ბრიტ.). 47. სამხრეთ აფრიკის კავშირი. 48. ბაჟუტალენდი (ბრიტ.). 49. სვაზილენდი (ბრიტ.). 50. მადაგასკარის რესპუბლიკა.

ურნალი უკვე დასაბუთად იყო მზად, როდესაც მოვიდა სასიხარულო ცნობა: აფრიკის კიდევ ერთი სახელმწიფო—მავრიტანია გათავისუფლდა კოლონიალიზმის ბრტყალებსაგან.

ეს რუკა არ გავს აფრიკის არც ერთ რუკას, რომელიც თქვენს გეოგრაფიის სახელმძღვანელოებშია დაბეჭდილი. მეტიც, მსოფლიოს დეტალურ ატლასშიც ვერ იპოვით მსგავს რუკას.

დააკვირდით მას. იმ ქვეყნებმა, რომლებიც აქ შავად არის აღნიშნული: ზოგმა გასულ წელს, ზოგმა კი უფრო ადრე მიიღეს დამოუკიდებლობა. ესენია—ლიბია და არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა, განა და გვინეის დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ეთიოპია... სულ ათი სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო აღნიშნული აფრიკის რუკაზე 1959 წლის 31 დეკემბერს.

1960 წელი მთელ მსოფლიოში „აფრიკის წლად“ იწოდება. პირველ იანვარს, ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ, ფრანგ კოლონიზატორთა უღელი გადაიგდო კამერუნმა. აპრილში დამოუკიდებლობა მოიპოვა ტოგომ, ივნისში დაიბადა მალის ფედერაცია, მოცილა ბელგიელთა ბატონობა კონგოს რესპუბლიკამ.

ზაფხულში, სანამ თქვენ არ დადებდით გქონდათ, აფრიკის რუკა კიდევ უფრო შეიცვალა.

იენისის ბოლოს ინგლისისა და საფრანგეთის „ზედამხედველობისაგან“ თავი დააღწია სომალის რესპუბლიკამ. აგვისტოს თვეში აფრიკის კონტინენტზე თითქმის ყოველ მეორე დღეს ჩნდებოდა ახალი სახელმწიფოები: პირველ აგვისტოს აღმოცენდა დაგომის რესპუბლიკა, სამ აგვისტოს—ნიგერის რესპუბლიკა, ხუთ აგვისტოს—ზემო ვოლტას რესპუბლიკა, 7 აგვისტოს—რესპუბლიკა სპილოს ძვლის ნაპირი, 11 აგვისტოს—ჩადის რესპუბლიკა, 13 აგვისტოს—ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, 15 აგვისტოს—კონგოს ახალი რესპუბლიკა, 17 აგვისტოს—გაბონის რესპუბლიკა. ეს სახელმწიფოები, რომლებიც 1960 წელს დაიბადნენ, რუკაზე წერტილებით არის აღნიშნული.

შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ აფრიკაში ახალი სახელმწიფოების აღმოცენება უწყინრად ხდება. მაგრამ ეს ასე არის. აფრიკის ხალხთა წარმომადგენლები მართალია, აწარმოებენ მოლაპარაკებას იმპერიალისტებთან, ეწყობა ზეიმები, რაშიც მონაწილეობენ მსოფლიოს

მრავალი ხალხის წარმომადგენლები, მათ შორის ისინიც, ვისაც დამონებული ჰყავდა აფრიკა, მაგრამ სინამდვილეში აქ უფრო რთულ მოვლენებთან გვაქვს საქმე.

კოლონიზატორები წლების მანძილზე ყველფდნენ აფრიკის ხალხებს და მდიდრდებოდნენ ამ ნაძარცვით. ახლა კი თავი ისე უჭირავთ, თითქოს თავის ნებით ათავისუფლებენ კოლონიებს. აფრიკის ხალხთა ბრძოლამ დამოუკიდებლობისათვის ახლა ისეთ დონეს მიაღწია, რომ კოლონიზატორებს ძალა აღარ შესწევთ ძველი მეთოდებით შეინარჩუნონ ხელისუფლება. ალჟირში, აგერ, ექვსი წელია შეიარაღებული აჯანყება მიმდინარეობს, რომლის ჩახშობა საფრანგეთმა ვერ შეძლო. აღდგნენ კენიის, როდეზიის, სამხრეთ აფრიკის კავშირის ხალხები.

კოლონიზატორებს ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ აფრიკას მოტყუებით შეინარჩუნებენ - მისცეს მას




ფორმალური დამოუკიდებლობა, ხოლო სიმდიდრე ძველებურად უნდათ მათ ხელში იყოს.

აი, მაგალითად, განის ისტორია. 1951 წელს მან დამოუკიდებლობა მიიღო. მას ნება მიეცა ჰყოლოდა თავისი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მაგრამ უმაღლესი მმართველობა მაინც ინგლისელებს დარჩათ ხელში.

ხალხმა სრული დამოუკიდებლობა მოითხოვა და წელს განა უკვე რესპუბლიკად იქნა გამოცხადებული. ინგლისელი გუბერნატორი იძულებული გახდა დაეტოვებინა აფრიკა. უმაღლეს მმართველად თვით ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი გამოაცხადეს.

აფრიკის ხალხმა იცის, რომ არ კმარა მარტო დამოუკიდებლობის აღიარება, საჭიროა კოლონიზატორებმა დატოვონ არა მარტო სახელმწიფო აპარატი, არამედ სახალხო მეურნეობაც და ხალხს თავისი სიმდიდრის გამოყენების საშუალება მისცენ. აფრიკის ხალხებს ამ დიდ ბრძოლაში მთელი თავისუფალი კაცობრიობა უჭერს მხარს, განსაკუთრებით კი—ჩვენი ქვეყანა. საბჭოთა კავშირი ახლად აღმოცენებულ აფრიკის სახელმწიფოებს ეხმარება მეურნეობის გაუმჯობესებაში, სპეციალისტების მომზადებაში, აწვდის მათ საჭირო მანქანებს, მედიკამენტებს და სხვ.

აფრიკის ხალხთა ბრძოლა გრძელდება და, იმედია, სულ მალე მთელი აფრიკა თავისუფალი და დამოუკიდებელი იქნება. აი, მაშინ აფრიკის ხალხები დაანახებენ მთელ მსოფლიოს, თუ რა შეუძლიათ მათ, რადგან ხალხს, რომელიც თავის ბედს საკუთარ ხელში აიღებს, ნამდვილი სასწაულების მოხდენა შეუძლია. ჩვენ ეს ჩვენი ქვეყნის გამოცდილებით ვიცით.



მუსა და ღორი

ერთი ღორი მუხის ქვეშ დაბორიალობდა და ძირს ჩამოყრილ რკოებს შეეკცევოდა. ჯერ ერთიც არ ჰქონდა შეკმული, რომ მეორეს უკვე თვალებით ულაპავდა.

— უმადურო პირუტყვიო!—ჩამოძახა ბოლოს მუხამ,—ჩემი ნაყოფით იკვებები და ერთიც არ ამოგიხედაო მადლობის თვალით.

ღორი წამით შეჩერდა, მერე კი ღრუტუნით უპასუხა: „ჩემი მადლობის თვალი არ მოგაკლდებოდა, რომ მცოდნოდა—მართლა ჩემთვის ჰყრი ამ რკოებს“.

მებრძოლი მშვიდი

ეჰ, ღმერთმა აცხოვნოს მამაჩემი,—უთხრა ერთხელ ახალგაზრდა მგელმა მელიას, —ნამდვილი გმირი იყო! მისი გამოჩენა შიშის ზარსა სცემდა მთელ ჩვენს მხარეს! ორასზე მეტ მტერზე გაიმარჯვა და მათი შავი სულელები სიკვდილის სამეფოში გაგზავნა; ძალიან მიკვირს, როგორ შესძლო ერთმა მისი დამარცხება?!

— კირისუფალი მეტს რას იტყვის!—თქვა მელიამ და იქვე დაუმატა:—ორასი მტერი, რომელზედაც მამაშენმა გაიმარჯვა, ცხვარი და ვირი იყო, და ის ერთი, რომელმაც იგი დაამარცხა, ხარი იყო.



მაიმუნი და მელია

— „დამისახელე ისეთი მოხერხებული ცხოველი, რომლის მიბაძვაც მე არ შემეძლოს! —დაიტრახება მაიმუნმა მელიასთან.

— შენ კი შეგიძლია დაასახელო ისეთი უღირსი ცხოველი, რომელსაც აზრად მოუვა შენი მიბაძვა?—უპასუხა მელიამ.

თარგმნა ნ. რამიშვილმა





გაზი თბილისში

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გაზს, როგორც ყოფაცხოვრებაში, ისე მრეწველობაში.

სხვა სათბობებთან შედარებით გაზს დიდი უპირატესობა აქვს. ჯერ ერთი, ის ბევრად უფრო იაფია ვიდრე ქვანახშირი, ნავთი, შეშა და სხვა საწვავი. ამასთან, მისი წვის დროს სითბოს დიდი რაოდენობა გამოიყოფა. გარდა ამისა, სხვა საწვავით იგი არ გამოჰყოფს არც კვამლს, არც ჭვარტლს.

საერთოდ, საწვავი გაზი ორი ხასიათისაა: ხელოვნური და ბუნებრივი.

ხელოვნური გაზი ან სპეციალურად მზადდება გაზის ქარხნებში, ან კოქსისა და ქიმიური მრეწველობის პროდუქტს წარმოადგენს. ხელოვნურ გაზს ღებულობენ ნატურალურ სათბობიდან—ქვანახშირიდან, ნავთობიდან, ტორფიდან ან ფიქალიდან, მათი თერმული (სითბური) დამუშავების შედეგად.

ხელოვნური გაზის შემადგენლობა, თვისება და თბოუნარიანობა სხვადასხვანაირია, იგი დამოკიდებულია

ღია საწყის მასალაზე, რომლისგანაც გაზი მზადდება, და გადამუშავების საშუალებებზე.

ხელოვნური გაზის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს თხევადი გაზი:—პროპან-ბუთანის ნარევი. ეს ის გაზია, რომელიც ამჟამად თბილისშია დროებით გამოყენებული.

ბუნებრივი გაზი დედამიწის წიაღიდან მიიღება. ბუნებრივი გაზი ორგვარია: საკუთრივ ნავთობის თანმხლები გაზი, რომელსაც ღებულობენ გაზის საბადოებიდან, და ნავთობის თანმხლები გაზი, რომელსაც ნავთობთან ერთად ღებულობენ ნავთის საბადოებიდან. ბუნებაში ბევრნაირი გაზი არსებობს.

ბუნებრივი გაზი, ჩვეულებრივ ნავთობთან ერთად არსებობს დედამიწის განსაკუთრებულ ფენებში, დიდ სიღრმეზე, ხშირად დედამიწის ზედაპირიდან ასეული და ათასეული მეტრის სიღრმეზედაც კი. დიდი წნევის შედეგად, აქ ის შეკუმშულ მდგომარეობაშია, რის გამოც ადვილად შედის ქანებში.

1959 წლის 7 ნოემბერი მნიშვნელოვანი დღე იყო ჩვენი რესპუბლიკისათვის: თბილისმა ყარაღალის საბადოებიდან ბუნებრივი გაზი მიიღო.

ამ გაზს რამდენიმე თავისებური თვისება აქვს, რომელიც თქვენ უნდა იცოდეთ: იგი უფერო, უსუნო, უგემო, მხუთავი, მშრალი გაზია. ამასთან იცოდეთ, რომ იგი მომწამვლელი არ არის. ამ გაზის ქიმიურ შემადგენლობაში შედის: მეთანი—92,4 პროცენტი, ეთანი—1,4, პროპანი—2,2, ბუთანი—1,8, მძიმე ნახშირწყლები—0,8 და ნახშირწყვა—0,1 პროცენტი.

ამ გაზის აალების ტემპერატურა მეტად დიდია—540—600 გრადუსი. ჩვეულებრივ პირობებში კი მისი წვის ტემპერატურა 900—1100 გრადუსია.

ჰაერთან შედარებით ყარაღალის გაზი ორჯერ მსუბუქია.

თავისთვით ეს გაზი არც იწვის და არც ფეთქდება. მისი წვისა და აფეთქებისათვის საჭიროა ღია ცეცხლი ან ნაპერწკალი.



გაზის მცირე გაძარცვაც კი შეიძლება აფეთქების მიზეზი გახდეს; ამიტომ ამ საქმეში განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რადგან გაზის მცირე დოზა აფეთქებისთვის უფრო საშიშია, ვიდრე დიდი დოზა.

ამასთან, ბუნებრივი გაზის არასრული წვის დროს წარმოიქმნება ნახშირქვეყანგი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის და, საერთოდ, სიცოცხლისათვის საშიშია.

იმისათვის, რომ ხიფათი თავიდან იქნეს აცილებული, საჭიროა თითოეულმა თქვენგანმა კარგად იცოდეს გაზის თვისებები და საგაზო ხელსაწყოების ხმარების წესები.

გაზქურების ხმარების ძირითადი წესები ასეთია:

გაზქურის ხმარების წინ აუცილებლად უნდა გაანიაგოთ სამზარეულო; შეამოწმეთ დაკეტილია თუ არა ყველა ონკანი, შემდეგ გააღეთ გაზის მომწოდებელი მილის ონკანი, ანთებული ასანთი მიიტანეთ სანთურთან და მეორე ხელით მოაბრუნეთ პლასტმასის სანთურის შესაბამისი სახელური.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ანთებული სანთურის უმეტესად უფროდ დატოვება.

გაზქურნაკის სანთური უმჯობესია ავანთოთ ქალღლის დახმარებით, ე. ი. ანთებული ქალღლი მივიტანოთ გაზქურნაკის სანთურთან და შემდეგ გავაღოთ მისი შესაბამისი ონკანი.

უურადღება უნდა მიაქციოთ წვის რეჟიმს. ნორმალური წვის დროს ალი წყნარია და უხმო. მას აქვს მოცისფრო-მწვანე ფერი და იისფერი პატარა თაღები. ალის ენის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 20 მილიმეტრს.

ქურის ხმარების დამთავრებისას ყველა მისი ონკანი უნდა დაკეტოთ და გამოთიშოთ გაზი ქურის წინ მილზე დაყენებული ონკანით.

ქურა ყოველთვის სუფთად უნდა იქონიოდ. ხშირად, სანთურების დანაგვიანება არადამაკმაყოფილებელ წვას იწვევს. ქურის ნაწილები ხშირად უნდა გაიწმინდოს საპნიანი და სოდიანი თბილი წყლით, შემდეგ კარგად გამშრალდეს.

საგაზო ხელსაწყოების დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ შესაბამისი რაიონის საექსპლოატაციო კანტორებს.

გაზის გაძარცვის შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა დარეკოთ საავარიო სამსახურში (ტელ. № 04).

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაძინება იმ ოთახში, სადაც გაზის ხელსაწყოებია მოთავსებული.

ბუნებრივი გაზი თბილისში, გარდა საყოფაცხოვრებო საქმისა, კიდევ ბევრ საწარმოშია გამოყენებული. დღეისათვის ქალაქის მან დაიდ საწარმოს გაზი ამუშავებს. მათ შორის არის ისეთი დიდი საწარმოები, როგორცაა: ორჯონიკიძის სახ. მანქანათმშენებელი ქარხანა, კირავის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა,




ელმავალმშენებელი ქარხანა, კერამიკული კომბინატი, ავეჯის კომბინატი, შამპანური ღვინის კომბინატი და სხვ.

გარდა ამისა, მრავალი სამკურნალო, სასწავლო და საყოფაცხოვრებო დაწესებულება სარგებლობს საწვავი გაზით.


1961 წლისათვის თბილისში გათვალისწინებულია მან კმ. საგაზო ქსელის მშენებლობა და 6 000 ბინის გაზიფიცირება. მწყობრში ჩადგება 7 გაზგამანაწილებელი სადგური.

1966 წლისათვის გათვალისწინებულია მთელი თბილისის გაზიფიკაცია; ეს დიდ ეკონომიას მისცემს ჩვენს ქვეყანას, მინიმუმამდე დაიყვანს შეშის, ნავთისა და ქვანახშირის ხარჯვას; ამას გარდა, ჩვენი ქალაქის ჰაე-



რი აღარ გატუქვიანდება ქვარტლისაგან, რომელსაც ახლა ასე უხვად აფრქვევს უამრავი საკვამლე მილი.

ინჟინერი
ლევან გეგეშიძე
ნახ. ე. ამბოკაძისა



გრაფიკონო

იტალიური ზღაპარი

ერთ ღარიბ დედაკაცს ცამეტი შვილი ჰყავდა. სულ პატარას ტრედინო ერქვა. მას ტრედინოს იმიტომ ეძახდნენ, რომ იგი მეცამეტე ძმა იყო. იტალიაში კი ასეთ ბავშვს ტრედინოს ეძახიან. ღარიბ დედაკაცს ძალიან უჭირდა ბავშვების რჩენა. როდესაც ბავშვები ცოტა წამოიზარდნენ, დაუძახა მათ და უთხრა:

— მე მოვხუცდი, აღარ შემიძლია თქვენი რჩენა, თქვენს თავზე თქვენ თვითონ უნდა იზრუნოთ.

წავიდნენ ძემბი ბედის საძებნელად. ბევრი სიარულის შემდეგ ტყის ნაპირას სახლი დაინახეს.

ამ სახლში ზაფხულობით მეფე ცხოვრობდა, რომ სიცხეს არ შეეწყებინა.

ტრედინომ დააკაუნა კარებზე და მეფეს თავისი თორმეტი მშვიერი ძმისათვის პურის ნატეხი სთხოვა. მეფე ინდაურვით გაიფხორა და უთხრა:

— მე არ შემიძლია პური ვაძლიო ყველმა მშვიდმა წაწალას! თუ თქვენში აღმოჩნდება ვინმე ისეთი მამაცი, რომელიც მეგლს წაართმევს ჩემს საბანს, მაშინ მას პურსაც მივცემ და ფულსაცო.

ტრედინო არ დაიბნა და უთხრა:

— მომეცით მახათი და საბანს მე მოგიტანთ. ტრედინო მივიდა მგლის სახლთან, დაიმალო და ლოდინი დაიწყო. როგორც კი მეგლი რუხე წყლისათვის გამოვიდა, ტრედინო საკვამლე მილში ჩაძვრა და მგლის საწოლქვეშ დაიმალო.

დალილი მეგლი დაბრუნდა სახლში, წამოწვა, გადაიხურა საბანი და ხვრინვა ამოუშვა.

ტრედინო მიეპარა მეგლს და მახათით ჩხვლეტა დაუწყო. მეგლმა იტრიალა, იტრიალა და საბანი გადასძვრა. ტრედინოსაც ეს უნდოდა, მაშინვე სტაცა საბანს ხელი და პირდაპირ მეფისაკენ მოჰკურცხლა.

მეგლს ერთი გაწვრთნილი თუთიყუში ჰყავდა. რაც არ უნდა გეკითხათ მისთვის, ის ყველაფერზე გიპასუხებდათ, საათსაც კი სცნობდა.

მეგლმა გაიღვიძა დილით და თუთიყუშს ჰკითხა, რომელი საათიაო.

— ჯერ მხოლოდ დილის ხუთი საათია, — უპასუხა თუთიყუშმა, — მაგრამ ტრედინომ უკვე მოასწრო შენი საბნის წაღება.

— ოო, ერთი ის ყაჩაღი ჩამაგდებინა თათებში და მე ვუჩვენებ სერს! — ისე ძლიერად დაიღრიალა მეგლმა, რომ ტყეში კურდღლები აცახცახდნენ.

ამ დროს კი ტრედინო უკვე მეფის სახლში იყო და დაპირებულ ჯილდოს უცდიდა.

მაგრამ მეფეს აზრადაც არ მოსდიოდა ბიჭის დაჯილდოება. ახლა მან მოისურვა ხელში ჩაეგდო გაწვრთნილი თუთიყუში, რომელიც საათსაც კი სცნობდა.

ტრედინო დალონდა: „როგორ წამოვიყვანო თუთიყუში? როგორც კი მივუახლოვდები, დაინახვლებს და მეგლს მაშინვე გააღვიძებს“.

მაგრამ ტრედინო ტყუილად ხომ არ იყო ეშმაკი ბიჭი. დილაზე იფიქრა და ბოლოს მოიფიქრა როგორ მოეტყუებინა თუთიყუში.

ტრედინომ მეფეს ტკბილეული სთხოვა, ჩაალაგა კალათში და ტყეში წავიდა. შეიპარა მგლის სახლში, თავახდილი კალათი მაგიდაზე დადგა, თვითონ კი მაგიდის ქვეშ დაიმალო.

თუთიყუშმა დაინახა, რომ მაგიდაზე ტკბილეულით სავსე კალათი დგას, კალათთან კი არავინაა. განა შეიძლო თუთიყუშს თავის შეკავება? მას ხომ ტკბილეული ყველაზე მეტად უყვარდა ამ ქვეყანაზე. ჩაძვრა კალათში, გაივსო პირი ტკბილეულით და ლექვა დაუწყო. ტრედინო მიეპარა თუთიყუშს, სასწრაფოდ დააფარა სახურავი, ხელი დაავლო კალათს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიქცა მეფესთან.

საწყალი ტრედინო ფიქრობდა, რომ ამით დამთავრდებოდა მისი გამოცდა და თავის ძმებთან ერთად მალე დაბრუნდებოდა სახლში. მაგრამ ასე არ მოხდა. მეფემ ტრედინოს გამოართვა თუთიყუში და უთხრა:

— მისმინე, ტრედინო. გაძლევ ჩემს მეფურ სიტყვას, რომ, როგორც დაგპირდი, დაგაჯილდოებ. მაგრამ, ჯერ შენ უნდა აასრულო ჩემი უკანასკნელი სურვილი: მსურს, ახლა თვითონ მეგლი დაიჭირო. ხოლო თუ ვერ დაიჭერ, სიკვდილით დაგაჯა არ ავცდებ. გასაგებია?

მთელი ღამე ფიქრობდა საწყალი ტრედიჩინო, როგორ დაეჭირა მგელი... ბოლოს, მოიფიქრა კიდევ. განთიადისას შეკრა დიდი ყუთი, დადო ურემზე და ტყეში წავიდა.

მივიდა ტრედიჩინო მგლის სახლთან და მთელი ძალით დაიწყო ყვირილი:

— მეფემ ბრძანა დაუმორჩილებელი ტრედიჩინოს დაჭერა. ვინ დამეხმარება მის დაჭერაში?

მგელი მაშინვე იქ გაჩნდა.
— შენ რა, ტრედიჩინოს დაჭერა გინდა? სიამოვნებით დაგეხმარები. ახლა კი ველარ წაგვიყვანე ხელიდან ის საძაგელი ბიჭი.

— აი, მე უკვე მოვამზადე ყუთი, — ეუბნება ტრედიჩინო მგელს, — მაგრამ მეშინია, პატარა ხომ არაა? ამბობენ, რომ ტრედიჩინო თქვენი ტოლია; ჩაწეკით ყუთში გეთაყვა, ბარემ ყველაფერს შევამოწმებ.

ბრიყვი მგელი მორჩილად ჩაძვრა ყუთში და მთელ სივრცეზე გაიშოტა. ვერც კი მოასწრო შიგ კარგად გაგორება, რომ ტრედიჩინომ უმალ სახურავი დაათარა ყუთს.

— რას შვრები, კეთილო ბიჭო? ასე ხომ დავიხრჩობი! — დაიყვირა მგელმა.

— ნუ გეშინია, ნუ გეშინია, ნათლია, გზა გრძელი არაა, შეგიძლია მოითმინო. — უბასუბა ტრედიჩინომ.

ასე დაიჭირა ტრედიჩინომ ბოროტი მგელი.
ახლა კი იძულებული გახდა მეფე, ტრედიჩინოსა და მისი ძმებისათვის ჯილდო მიეცა.

სოფელში, სადაც ძმები ცხოვრობდნენ, გლეხები ახლაც ამბობენ:

— მოხერხებული იყო მეფე, მაგრამ ჩვენი ტრედიჩინო — მასზე უფრო მოხერხებულიო.

თარგმნა გ. ჭრელიშვილმა
ნახ. რ. ცუცქერიძისა



როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთზე გაილაშქრა, მცირე აზიაში მას სპარსეთის მეფის — დარიოსის ელჩები შეხვდნენ, რომლებმაც ალექსანდრეს მიართვეს თავიანთი მეფის წერილი, ბურთი, წკებლა და ერთი პატარა ყუთი ოქრო. დარიოსის წერილში შემდეგი ეწერა: „მე, დარიოსი, მეფე მეფეთა, ძე ღმერთებისა და ღმერთი, გიბრძანებ შენ, ალექსანდრეს, ჩემს მოსამსახურეს, რათა დაბრუნდე შენს მშობლებთან, ჩემს მონებთან; შენ ჯერ ისე პატარა ხარ, რომ ღედის მოვლა გესაჭიროება. გიგზავნი წკებლას, ბურთს და ცოტაოდენ ოქროს. წკებლა იმის ნიშანია, რომ შენ, როგორც ყმაწვილი, კიდევ საჭიროებ სწავლას; ბურთი ნიშნავს, რომ შენ ჯერ კიდევ შენს ტოლ-ამხანაგებთან უნდა თამაშობდე ბურთს; ოქროს გიგზავნი იმიტომ, რომ საშუალება გექნეს, რათა სამშობლოში დაბრუნდე. თუ შენ ამ ბრძანებას არ აღასრულებ, მაშინ მე გამოგზავნი ჩემს კაცებს; ისინი დაგიჭერენ და, წკებლით კი არ დაგსჯიან, როგორც ყმაწვილს, არამედ დაგსჯიან როგორც მემამულეს“.

ალექსანდრე მაკედონელმა სამ დღეში დარიოს მეფეს შემდეგი სააპსუხო წერილი გაუგზავნა: „ალექსანდრე დარიოს მეფეს მოკითხვას უძღვნი. სასირცხვილო არ იქნება, რომ შენ, დარიოსი, ძლიერი და დიდებული მბრძანებელი, ძე ღმერთებისა და თვით ღმერთი, ამ ცოტა ხანში გახდები საბრალო მონა უბრალო ყმაწვილისა, რომელსაც ალექსანდრე ეწოდება?“

მე მოვიდვარ შენზე, მაგრამ ისე კი არა, როგორც ღმერთზე, არამედ, უბრალო მკვებარაზე. შენ ძალიან მოუფიქრებლად გვიჩვენე ოქრო. ეს ოქრო გაგვამხნევებს ჩვენ და უფრო მამაცურად ვიბრძობებთ, რათა შენი ოქრო ჩავიგდოთ ხელში. ვძლევთ ისეთ ძლიერ მეფეს, როგორადაც შენ თვლი შენს თავს. ხოლო თუ შენ გაიმარჯვე ჩემზე, ვერ დაიქანებ ყმაწვილზე გამარჯვებას, როგორადაც მე შენ მთვლი. მე შენგან გამოგზავნილი ყველა საჩუქარი დიდი კმაყოფილებით მივიღე, რადგან ეს საჩუქრები კარგის მომასწავებელი არიან: წკებლით მე ვცემ შენს ბარბაროსებს, ბურთი კი მოასწავებს, რომ მე დავიპყრობ მთელს ქვეყნიერებას“.

რამდენიმე თვის განმავლობაში ალექსანდრემ მართლაც დაამარცხა დარიოს მეფე და მთელი მისი ოჯახი ტყვედ ჩაიგდო, ხოლო თვით დარიოსი სამი წლის შემდეგ საკუთარმა მხლებელმა მოკლა. ამიტომ ალექსანდრემ დარიოსი მხოლოდ მკვდარი ნახა. დარიოსის მკვლეელი კი სიკვდილით დასაჯა.

აგვისტოს პირველი რიცხვები იყო. საბჭოთა კავშირის უძლიერესი სპორტსმენები რომის ოლიმპიური თამაშებისათვის ემზადებოდნენ. ერთ სალამოს სპორტსმენებს რადიოს კორესპონდენტები ეწვივნენ და რამდენიმე კითხვით მიმართეს რობერტ შავლაყაძეს.

კორესპონდენტისა და სპორტსმენის დიალოგის ბოლო სიტყვები ასეთი იყო:

კორესპონდენტი: როგორ ფიქრობთ, რა შედეგით შეიძლება ოლიმპიური ჩემპიონობის მოპოვება?

შავლაყაძე: ჩემი აზრით გამარჯვებისათვის საკმარისი იქნება 2,15 მეტრი.

კორესპონდენტი: როგორ ფიქრობთ რომში გამოსვლას, გაქვთ თუ არა გამარჯვების იმედი?

შავლაყაძე: წინდაწინ თქმა ძნელია, ბრძოლა მეტად დაძაბული იქნება. შევეცდები.

და რობერტი მართლაც შეეცადა. ისე შეეცადა, რომ რომის ოლიმპიურ სტადიონიდან აღფრთოვანებული მაყურებლის ტაშის ხმა ლამის თბილისს მოსწვდა.

რობერტის სპორტული ბიოგრაფია ფაქტურად მაშინ დაიწყო, როდესაც გ. ათანელაშვილმა იგი სახტომ ორმოსთან მიიყვანა. გამოცდილ სპორტსმენს შეუშინეველი არ დარჩა ახალგაზრდა რობერტის განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემები: სიმაღლე, გრძელი ფეხები და ტერფები. დანარჩენი კი ვარჯიშის საქმე იყო. და დაიწყო მძიმე, შეუპოვარი ბრძოლა. თვეს თვე მისდევდა, წელს—წელი. რობერტი უკვე აღიარებული სპორტსმენი გახდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა ვერ მოიპოვა. ჯერ იყო და მელბურნის ოლიმპიადის წინ მუხლი დაიზიანა და იძულებული იყო ხანგრძლივი დროით შეეწყვიტა ვარჯიში. შემდეგ კი... შემთხვევა. დიახ, შემთხვევასაც აქვს მნიშვნელობა სპორტში. ასე იყო, მაგალითად, ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე: რობერტმა და კაშკაროვმა ორივემ ერთნაირი სიმაღლე დასძლიეს, მაგრამ სადღაც, შეჯიბრის დასაწყისში, კაშკაროვმა ერთი სიმაღლე გამოსტოვა, ამიტომ ცდების ნაკლები რაოდენობა ჰქონდა და

რობერტს მხოლოდ ვერცხლის მედალი ერგო. ყველაზე დიდი გამარჯვება მაშინ მოვიდა, როცა ამას არავინ მოელოდა; ეს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის მძლეოსანთა მატჩის დროს მოხდა. 1958 წელს, ქალაქ ფილადელფიაში რობერტმა დაამარცხა გამოჩენილი ამერიკელი და საბჭოთა მსტომელები, რითაც სერიოზულად დააფიქრა ამერიკის სპორტის მესვეურები.

და აკი მართლაც ჰქონდათ დასაფიქრებელი.

ოლიმპიურ სტადიონზე ორმოცამდე სიმაღლეზე მსტომელი გამოვიდა. მათგან 2,03 მეტრზე მხოლოდ 6 სპორტსმენი დარჩა—სამი საბჭოთა სპორტსმენი: ბრუმელი, ბოლშოვი და შავლაყაძე; ამერიკელები: თომასი და დიუმასი; შვედი პეტერსონი. 2,06 მეტრზე ასპარეზობა დათმო პეტერსონმა. ამავე სიმაღლეზე მარცხის შემდეგ თვალცრემლიანი მოსცილდა სახტომ ორმოს გასული ოლიმპიადის ჩემპიონი დიუმასი.

საასპარეზოდ დარჩნენ სამი საბჭოთა და ერთი ამერიკელი მძლეოსანი. ახალგაზრდა ზანგი საკმაოდ უშიშრად გრძნობდა თავს და ამის საფუძველი მას ნამდვილად ჰქონდა, რადგან ყოველ ვარჯიშზე რომში იგი იოლად ძლედა 2,15 მეტრს, ხოლო იტალიაში ჩამოსვლის წინ სამშობლოში 2,23 მეტრი სიმაღლე დაძლია და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.



რობერტის ერთ-ერთი ნახტომი 2,10 — მეტრზე. სურათზე კარგად ჩანს სპორტსმენის უბადლო ტექნიკა.



„მსოფლიო კალენდარი“



მაგრამ სხვაა შენს ქვეყანაში, შენი ხალხის წინ, ჩვეულებრივ შეჯიბრზე გამოსვლა და სულ სხვაა ასეთ გრანდიოზულ შეჯიბრში მონაწილეობა. ასეთ შეჯიბრზე საქმეს არ შველის მარტო ფიზიკური მონაცემები. პირველობის ბედს საბოლოოდ სპორტსმენის მორალური თვისებები, თავის თავისადმი რწმენა და ნებისყოფის სიმტკიცე წყვეტს.

სიმაღლეს სიმაღლეზე ძლევენ სპორტსმენები. 2,12 მეტრზე შეჯიბრს ბოლშოვიც გამოაკლდა. თამასა 2,14 მეტრზე ავიდა. ხტება შევლავაძე. ნელი გამორბენა... უკანასკნელად რამდენიმე ელვასავით სწრაფი და გრძელი ნაბიჯი. უძლიერესი არეკნი და... სპორტსმენი უკვე თამასაზეა გაწოლილი. სიმაღლე აღებულია. შევლავაძის ამ შესანიშნავმა ნახტომმა გატეხა ამერიკელი სპორტსმენი, გამარჯვების რწმენა დაუკარგა მას, და ეს უკვე მომდევნო სიმაღლეზევე გამოჩნდა. 2,16 მეტრი. შევლავაძე იღებს სტარტს. ისევ მძლავრი არეკნი, ხტომა და... იგი კარგა ხანს წევს პირდაღმა სილის ორმოში. მხოლოდ მაშინ აიხედა სპორტსმენმა მაღლა, როდესაც სტადიონს მაყურებელთა გამაყრუებელმა ყიჟინამ გადაუარა — თამასა ადგილზე იყო.

ხალხის აუწყრელ ხმაურში, პირდაპირ სტადიონიდან, ამ დროს იყო სწორედ, რომ ისმოდა რადიკომენტატორ ოზეროვის სიტყვები: „გესმით ჩემი ხმა, ძვირფასო თბილისელებო? თქვენი თანამემამულე შევლავაძე ოლიმპიადის ჩემპიონია!“. დიახ გვესმოდა ეს ხმა და კიდევ დიდხანს გაგვეგონოს რობერტის გამარჯვებების მაუწყებელი ხმა.

ამიერიდან, 1964 წლამდე, ე. ი. მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე ოლიმპიური რეკორდი საქართველოს რეკორდია.

ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ რამდენიმე სპეციალური პრიზი იქნა დარიგებული. ამათგან ერთი სპეციალური პრიზი: „ყველაზე ტემპერამენტური და თავდადებულ სპორტსმენს“, — რობერტს გადაცა.

ზ. ორბელი

დღეები	იანვარი აპრილი ივლისი ოქტომბერი					თებერვალი მაისი აგვისტო ნოემბერი				მარტი ივნისი სექტემბერი დეკემბერი			
კვირა	1	8	15	22	29	6	13	20	27	4	11	18	25
ორშაბათი	2	9	16	23	30	7	14	21	28	5	12	19	26
სამშაბათი	3	10	17	24	1	8	15	22	29	6	13	20	27
ოთხშაბათი	4	11	18	25	2	9	16	23	30	7	14	21	28
ხუთშაბათი	5	12	19	26	3	10	17	24	1	8	15	22	29
პარასკევი	6	13	20	27	4	11	18	25	2	9	16	23	30
შაბათი	7	14	21	28	5	12	19	26	3	10	17	24	31

ჯერ კიდევ სამი ათასი წლის წინათ ევვიპტის ქურუმებმა გამოიანგარიშეს, რომ წელიწადის ხანგრძლივობა უდრის 365 დღეს, 5 საათს, 48 წუთსა და 46 წამს. პირველ საუკუნეში, ჩვენს ერამდე, რომის იმპერატორის—იულიუს კეისრის ბრძანებით, ევვიპტელმა ასტრონომმა სოზიგენმა დააზუსტა კალენდარი რომის იმპერიის ევროპული პროვინციებისათვის. ეს კალენდარი იულიუსის სახელს ატარებს.

იულიუსის კალენდრით წელიწადში არის 365 დღე, მეოთხე—ნაკიან წელიწადში კი—366 დღე. იულიუსის კალენდარი ასტრონომიულ კალენდარზე მეტია 11 წუთითა და 14 წამით. ამიტომ, ყოველ 128 წელიწადში კალენდარი ჩამორჩებოდა ერთი დღით. 1582 წლისათვის განსხვავებამ მიადწია 10 დღეს, ამიტომ რომის პაპის—გრიგორ XIII ბრძანებით, იტალიელმა ლილიომ გადაიანგარიშა და დააზუსტა კალენდარი. შემოდებულ იქნა ე. წ. „ახალი სტილი“. 1582 წლის 5 ნოემბერი დაიწყო 15 ნოემბრით. გრიგორის კალენდარი საქმოდ ზუსტია. იგი ასტრონომიულ კალენდარზე მხოლოდ 24 წამითაა დიდი, ამიტომ ერთი დღის განსხვავებას მხოლოდ 330 წელიწადში ერთხელ იძლევა. მიუხედავად ამისა, ამ კალენდარში დღეთა რაოდენობა თვეში მერყეობს 28-დან 31-მდე. ტაბელ-კალენდარი მუდმივი არ არის, ყოველწლიურად იცვლება, ახალი წელი სულ სხვადასხვა თარიღზე მოდის. ყველა ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად საჭირო გახდა „მსოფლიო კალენდრის“ შექმნა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურმა კომიტეტმა განიხილა 2000

პროექტი ახალი კალენდრებისა. მოწონებული იქნა ინდოეთის პროექტი, რომელსაც „მსოფლიო კალენდარი“ ეწოდა. ინდურ კალენდარში წელიწადი იყოფა ოთხ კვარტალად, თითოეული—91 დღით ან 13 კვირით. ყოველი კვარტალი იწყება კვირით, თავდება შაბათით. ყოველ წელიწადს კვირის დღეები ერთი და იგივე რიცხვს ხვდება. წელიწადში სულ 364 დღეა. 365-ე დღეს არა აქვს რიცხვი და ჩასმულია პირველ და უკანასკნელ კვარტალებს შორის (31 დეკემბერსა და 1-ელ იანვარს შორის) და აღინიშნება როგორც ახალი წელი და ხალხთა თანამეგობრობისა და მშვიდობის საერთაშორისო დღე. ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, ნაკიანი წელიწადის დღე ჩაისმება მეორე და მესამე კვარტალს შორის (31 ივნისსა და 1 ივლისს შორის) და ეს იქნება მეორე საერთაშორისო დამატებითი დახვეწის დღე, აგრეთვე ურიცხვო.

მსოფლიო კალენდრის შემოღება მოსახერხებელია 1961 ან 1967 წელს, რადგანაც ამ წლებში კვირა თანხვედბა ახალ წელიწადს.

მსოფლიო კალენდრის ახალი პროექტი მოწონებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოსა და საბჭოთა დელეგაციის მიერ. გენერალური ასამბლეის წინადადებით, ახალი კალენდარი შემოღებული უნდა იქნას 1961 წლიდან, მაგრამ ა. შ. შტატების მთავრობამ „რელიგიური მოსაზრებების“ გამო ჯერჯერობით თავი შეიკავა ახალი კალენდრის შემოღებაზე. ამიტომ, მსოფლიო კალენდრის შემოღება განზრახულია 1967 წლიდან.

გ. ზარდალიშვილი



1896 წელს მთელ მსოფლიოში მხოლოდ 4 ავტომანქანა იყო. 1910 წელს მათი რიცხვი უკვე 10 მილიონს აღწევდა; ხოლო ამჟამად ავტოტრანსპორტი ისე გაიზარდა, რომ ცოცხალი ძალის ტრანსპორტი ლამის სრულიად განდევნოს ხმარებიდან.

ყოველ მოძრავ სხეულს საკვები სჭირდება. ცხადია, რაც მეტია მოძრავი მანქანები, იმდენად მეტი საწვავია საჭირო. ამიტომ დღითიდღე იზრდება მოთხოვნილება ნავთობის პროდუქტებზე, რამაც, თავის მხრივ, მეტად გაზარდა ნავთობის საძიებელი სამუშაოები. საინტერესოა გადავხედოთ ნავთის წარმოების არცთუ ისე შორეულ წარსულს. 1859 წელს ნავთობის მოპოვება მთელ მსოფლიოში 500 ტონას უდრიდა, 1871 წლისათვის—164 ათას ტონას, 1901 წელს—22 მილიონ ტონას, ხოლო ამჟამად ერთ მილიარდ ტონამდე ავიდა.

არანაკლებ საინტერესოა ის ფაქტი, რომ მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ნავთობის ხვედრითი წონა მსოფლიოს სათბობ მასალათა ბალანსში მხოლოდ 3,6 პროცენტს შეადგენდა, 1947 წლისათვის კი 24 პროცენტამდე ავიდა. 1959 წელს ჩვენს ქვეყანაში მოპოვებული იყო 130 მილიონი ტონა ნავთობი; ხოლო, მიმდინარე შეიღწევის გეგმით, ჩვენს ქვეყანაში ნავთობის ამოღება უნდა გაიზარდოს 230—240 მილიონ ტონამდე, ე. ი. 2-ჯერ და კიდევ მეტად, ვიდრე 1958 წელს. საერთოდ, 1965 წლისათვის ნავთობისა და გაზის სათბობის ხვედრითი წონა 51 პროცენტს მიაღწევს.

რა არის ნავთობი? ასეული წიგნია დაწერილი ნავთობზე, მაგრამ დღემდე არ არის საბოლოოდ დადგენილი: ორგანული წარმოშობისაა იგი თუ არაორგანული. დიდი რუსი მეცნიერი მენდელეევი, ნავთობს არაორგანული წარმოშობის ნივთიერებად თვლიდა და მრავალი მომხრეებიც ჰყავდა. მაგრამ, კვლევისა და ცოდნის გარღმავებამ მენდელეევის თეორია საეჭვო გახადა. ამჟამად ყველაზე სარწმუნო თეორიად აღიარებულია ნავთობის ორგანული წარმოშობის თეორია. ამ თეორიის ძირითადი დებულებანი მოცემულია აკადემიკოს გუბკინის შრომებში. გუბკინის თეორიის მიხედვით, ნავთობის წარმოშობის მიზეზი ცოცხალი ორგანიზმებია. გუბკინი თავის თეორიას ასე განმარტავს: ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანიდან კასპიის ზღვამდე გადაჭიმული იყო უდიდესი თბილი ზღვა, ცხოველებისა და მცენარეთა დაბოცლილი სხეულები იძირებოდნენ და ილექებოდნენ მის ფსკერზე. გარდა ამისა, ურიცხვ მდინარეებს ზღვაში შეჰქონდათ უამრავი მკვდარი ცხოველი და მცენარე. ეს ყველაფერი, ზღვის ფსკერზე დალექილი, იფარებოდა შლამით და, უჰაერო წნევის ქვეშ მოქცეული, განუწყვეტელ დუღილისმაგვარ პროცესს განიცდიდა. საბოლოოდ, ლებულობდა ნავთობის სახეს. მილიონი წლების მანძილზე ზღვები არა ერთხელ გადაადგილდნენ, ამიტომ მათი ფსკერი მალა-მალა იწვედა. ამის გამო, იქ, სადაც ძველად ზღვა იყო, მთაგორიანი ადგილები აღმო-

ცნდა. სწორედ ამ ადგილების სიღრმეში პოულობენ ნავთობის დიდ მარაგს. საბჭოთა კავშირში ასეთი ადგილების რიცხვს ეკუთვნის დასავლეთ ურალის დიდი ნაწილი; კავკასია და ამიერ-კავკასიის ნაწილი.

სიტყვა „ნავთი“ წარმოშობილია მიდიური სიტყვიდან—„ნავტა“ ანუ „ნეფატა“ და ნიშნავს გაჯონვას, გადინებას, რაც ზუსტად გამოხატავს მის თვისებას. მართლაც, ნავთობი ადვილად ახერხებს გაჯონვა-გადინებას და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ „დაბადების“ ადგილას მას ვეღარ პოულობენ, იგი „დაბადების“ ადგილიდან მეტად მოშორებით აღმოჩნდება ხოლმე. ამ იშვიათი თვისების წყალობით მის ახასიათებს „დაკარგვა“, აორთქლება, მიწის ზედაპირზე გამოჩენა და, აკრეფე, მიუვალ სიღრმეებში ჩაშვება-გაუჩინარება. საერთოდ, ნავთი არ წყვეტს გადენა-გაჯონვას მანამ, ვიდრე არ მიადწევს გაუვალ ჰორიზონტს და, ამავე დროს, თუ გვერდებიც და ჭერიც გაუვალი იქნება, ნავთობი ტყვეობაში აღმოჩნდება. გეოლოგების ძიების მიზანიც აი, ასეთი დატყვევებული ნავთობის აუზების აღმოჩენაა.

ნავთობის საძიებელი სამუშაოები მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სხვა სასარგებლო მადნეულის ძიება უფრო ადვილია, ვიდრე მათი დამუშავება, ხოლო ნავთობისა პირიქით ხდება. ნავთობის საძიებელ-საბურღავი სამუშაოები უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე მისი შემდეგი საექსპლოატაციო ხარჯები.

მეფის რუსეთში ნავთობის მოპოვების 90 პროცენტი ბაქოზე მოდიოდა, დანარჩენი 10 პროცენტი მოდიოდა გროზნოსა, მაიკოპსა და ჩელეკენზე. ნავთობის ისეთი დიდი საბადოები, როგორიცაა: ურალის, ბაშკირეთის, უბტირსკის, სახალინის, ზემო პეჩორის და მრავალი სხვა აღმოჩენილი და გახსნილია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მარტო მეხუთე ხუთწლეულში ნავთობის მრავალი 5-ჯერ და მეტად გაიზარდა.

როგორც ცნობილია, ნავთობის მთავარი მომხმარებლებია: ბუმბერაზი თბოელექტროსადგურები, თანამედროვე ძლიერი ორთქლმავლები და თბომავლები, ყველა სახის ავტოტრანსპორტი, თვითმფრინავები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, საოჯახო ნავთქურები და, ან მოთვლის, რამდენი სხვა რამ... გარდა ყველასათვის კარგად ცნობილი ნავთბროდუქტებისა, როგორიცაა, მაგალითად: ბენზინი, სხვადასხვა სახის საცხი, საწვავი ზეთები, ნავთობიდან გამოყავთ მრავალი სახის ხელოვნური პროდუქტები: კაპრონები, ბოქკო, ავეჯი, მატყლი, ბამბა, ტექნიკური ცხიმები, პლასტიკური მასები, რომლებიც ცვლიან რკინას, ფერად ლითონებს, საღებავებს, მინას, მედიკამენტებს და სხვა მრავალი სახეობის სავენებს, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ინჟინერი ე. ცინცაძე

ბავშვობაში, მშობლიურ კარმილა მოში, ღობე-ყორესა და სხვა ადგილებში, დაუბატოვებელსა და არასასიამოვნო სტუმარს—ჭინჭარს დაუნდობლად ვთხრიდით და ესპობდით, თუმცა ნორჩი ჭინჭრისაგან გემრიელ მხალს ამზადებდნენ ჩვენიანები. ამასთან ერთად, ამზადებდნენ სიმინდის ღერლილსა და ქატოში შერეულ ჭინჭარს, რომელსაც მაღიანად შეეძქეოდნენ ინდაურის, ბატისა და იხვის ჭუჭუბიც. მაგრამ ამ მცენარის მიმართ მაინც არასიმბათიურად ვიყავი განწყობილი.

გავიდა დრო და ბოლოს, ჭინჭარმა დიდი პატივისცემა დაიმსახურა ჩემში. რატომ? აი, რატომ:

ჭინჭრის ფოთლის ქლოროფილის მარცვლებიდან მზადდება მცენარეული საღებავი, რომელსაც დიდი გამოყენება აქვს კვების, ფარმაცევტულ და საპარფიუმერიო მრეწველობაში. ჭინჭრის დაფნის ბოჭკოსაგან, ისე როგორც სელის ბოჭკოსაგან, მზადდებოდა ძაფი, რისგანაც იქსოვებოდა სატომრე ტილოები და თევზსაჭერი ბადეები. ახლა ჭინჭრის ეს თვისება აღარ მიკვირს, რადგან ჩვეულებრივი ჭინჭრის ნათესავი—ჩინური ჭინჭარი ანუ რამი დღესაც უძვირფასესი ნედლეულია საფეიქრო მრეწველობაში.



ცნობილია ერთგვარი ავადმყოფობა, რომელსაც «ქათმის სიბრმავეს» ეძახიან; ამ დროს დაამიანს მხედველობა ისე უქვეითდება, რომ საგნებს ბინდისებურ განათებაში ვეღარ ამჩნევს. გამოირკვა, რომ ამ ავადმყოფობას აჩენს საკვებში «ა» ვიტამინის უქონლობა. და აი, ჭინჭრის ფოთოლში არის ეგრეთ წოდებული კაროტინი, რომელიც ცხოველის ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ «ცე» ვიტამინად იქცევა. ეს ნივთიერება ჭინჭრის ფოთოლში რვაჯერ მეტია ვიდრე კვერცხში, ორჯერ მეტი ვიდრე კარაქში, და ასჯერ მეტი ვიდრე ძროხის რძეში.

შორეულ მოგზაურთა და ჩრდილოეთში მცხოვრებთა შორის ხშირი იყო ღრძილების ავადმყოფობა. ამ ავადმყოფობას ეწოდა სურავანდი ანუ სკორბუტი. სურავანდი შეეყრება ყველას, რომლის საკვებშიც არ შედის «ცე» ვიტამინი. ეს ვიტამინი კი ჭინჭრის ფოთოლში ათჯერ მეტია ვიდრე კარტოფილში, თოფხმეტჯერ მეტი ვიდრე ვაშლსა და გარგარში, 33-ჯერ მეტი ვიდრე ყურძენში და ასე შემდეგ. ზოგჯერ, ჭრილობის შემთხვევაში, ადამიანს სისხლის დენა არ



უჩერდება, დაქვეითებული აქვს სისხლის შედედების უნარი. ამის მიზეზია საკვებში «კ» ვიტამინის უქონლობა. «კ» ვიტამინი კი ჭინჭარში ორმოცჯერ მეტია, ვიდრე წიწილას ჭაჭებსა და მარწყვის მწიფე ნაყოფში.

ჭინჭრის ფოთოლი ამ შემადგენლობის გამო დიდმნიშვნელოვან პოლივიტამინურ საკვებს წარმოადგენს მეწველი საქონლისათვის, ცხენებისა და ფრინველებისათვის. ამ საკვებით ისინი ადრე სუქდებიან, რძე და კვერცხი მდიდარი ხდება ადამიანისათვის აუცილებლად საჭირო ვიტამინებით.


ერთი კილოგრამი ჭინჭრის ფოთოლი «ცე» ვიტამინის შემცველობით უთანასწორდება: 2,5 კილოგრამ ფორთოხას, 2,5 კილოგრამ ლიმონს, 7 კილოგრამ ალუბალს, 14 კილოგრამ ვაშლს, 20 კილოგრამ კიტრს, 14 კგ. გარგარს 33 კგ. ყურძენს და ა. შ.

ა. ნემსაძე

ნორჩ საჭადრაკო კომპოზიციონრთა დასახმარებლად

„ინდური თემა“

1845 წელს, ფრანგული და ინგლისური საჭადრაკო ჟურნალების თებერვლის ნომრებში ერთდროულად გამოქვეყნდა დელიდან (ინდოეთი) მიღებული ოდნავ გადაკეთებული ერთი და იგივე ამოცანა. რუსულმა უურნალმა „ინდუსტრაციამ“ გადაბეჭდა ეს ამოცანა,



რომელსაც გამოჩენილმა ოსტატმა ა. ბეტროვმა წაუბმღვარა ასეთი შენიშვნა: „განსაცვიფრებელმა ამოცანამ ევროპის საჭადრაკო სამყაროში დიდი გამოხმაურება ჰქოვა. მრავალი გამოჩენილი მოთამაშე ამაოდ ცდილობდა მის ამოხსნას. ბოლოს, ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამოცანა მცდარია. მაგრამ, აღმოჩნდნენ ისეთებიც, მეტად მცირე რაოდენობა ინგლისის, საფრანგეთსა და გერმანიაში

მცხოვრებ ძლიერ მოჭადრაკეთა რიცხვიდან, რომლებმაც გამოამჟღავნეს ამოცანის საიდუმლოება“.

ამოცანას თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ შავებმა პატის მისაღებად უნდა ამოწირონ d პაიკის ხელები, ამიტომ, თეთრების მიზანია შავ მეფეს თავი დააღწვიონ პატისაგან და და მას შამათი გამოუცხადონ. განსახორციელებლად ეს იდეა ძნელი აღმოჩნდა, რადგან შესაძლებელი ვარიანტები არ ჩანს. მხოლოდ დასკვნითი კომბინაციის მონახვით შეიძლება ამოცანის გადაწყვეტა. ამისათვის კუმ უნდა გადაკეთოს კრიტიკული d3 უჯრა, რაზედაც შემდეგ დადგება ეტლი და შავი მეფეც გათავისუფლდება. შემდეგ მისი ხელა იძულებითა და შამათიც ცხადდება.

ამოცანა ასე ამოიხსნება: 1. c1 ხ6. 2. ხ4 ხ5; 3. ეd2 მფ4; 4. ეd4x.

ამოცანის ავტორის ვინაობა დიდხანს დარჩა უცნობი. მხოლოდ 1855 წელს გამოირკვა, რომ ამოცანა დელში, ინგლისური კაპელის წევრს გ. ლოდვის შეუდგენია. იგი 1848 წელს გარდაცვლილა, 32 წლის ასაკში.

ამოცანაში ჩაქსოვილ თემას ეწოდა „ინდური“ ამ თემაში დიდი გავლენა იქონია საჭადრაკო კომპოზიციის განვითარებაზე XIX საუკუნეში, ხოლო XX საუკუნეში ხელი შეუწყო ამოცანათა კომპოზიციაში ლოგიკური სკოლის შექმნას.

თ. გიორგაძე

შამათი 4 სულაში



სცადა ტელესკოპით უფრო უკეთ დაეთვალიერებინათ პლანეტა ვენერა. ამ მიზნით — ასანთ ტელესკოპიანად აურინდენ — აქრისტატაჟი ძირითადი დაკვირვებები ასტრონომებმა ჩაატარეს 24 კილომეტრის სიმაღლიდან, ძირს მოიტოვეს რა ატმოსფეროს ჰაერის მასის 99 პრო-

გამოცნობი ნაკოვნე

როგორც ცნობილია, აქლემები უმეტესად აფრიკასა და აზიაში არიან. მაგრამ აი, ამ ცხოველს ხნის წინ კალიფორნიის უდაბნო მთიანეში, ერთ-ერთ ფერდობზე აღმოჩენილ იქნა აქლემების ნაკვალევი. დადგენილია, რომ ეს



ნაკვალევი ეკუთვნის ისეთ ცხოველს, რომლებიც ამ მიდამოებში, სულ ცოტა, ორი მილიონი წლის წინათ არსებობდნენ. საიდან გაჩ-

დნენ ისინი აქ, ან რატომ გაქრნენ? ჯერჯერობით ეს გამოუცნობია. არანაკლები საიდუმლოებითაა მოცული მეორე ამბავიც: პერუელმა მეცნიერმა რიუზემ, ანდებში, მარკანაუსის უდაბურ ადგილებში, ზღვის დონიდან 4 ათასი მეტრის სიმაღლეზე აღმოაჩინა ცხოველების გიგანტური ქანდაკებები, რომლებიც ადამიანის ხელითაა კლდეებისაგან გამოკვეთილი. მათ შორისაა, მაგალითად, გამოქვაბულის ლომის გამოსახულება. ეს ცხოველი კი, როგორც აქამდე ფიქრობდნენ, არასოდეს არ ყოფილა ამერიკაში. მაგრამ კიდევ უფრო გასაოცარია უზარმაზარი გამოსახულება ქვეწარმავლისა, რომელიც მეცნიერების აზრით, ადამიანის გაჩენამდე დიდი ხნით ადრე იყო გადაშენებული.

სად უნდა ენახა უცნობ პერუელ მხატვარს ეს ცხოველები? ყველა ამ გამოცანაზე ჯერჯერობით პასუხი არ არის.

ღრუბლები ვენერაზე

დედამიწის ობსერვატორიებიდან ოპტიკური საშუალებებით პლანეტების შესწავლას მეტად ძნელებს დედამიწის ატმოსფეროში არსებული ტენი და მტვერი.

ამას წინათ ორმა უცხოელმა ასტრონომმა



ცენტრ. ვენერას დაკვირვებისას ასტრონომებმა აღმოაჩინეს, რომ პლანეტას გარს ეხვეოდა წყლის ორთქლი, სწორედ ისეთივე, როგორიც არსებობს დედამიწის ატმოსფეროში.

რვა მებრი სიმაღლის ფრინველი

ამერიკის შეერთებულ შტატებში, კოლორადოს ველზე, 1912 წელს, მეცნიერმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს უცნაური ფრინველის ჩონჩხი, რომელიც ბუმბერაზი დიატრისა აღმოჩნდა. ეს ფრინველი ორნახევარი მილიონი წლის წინათ ცხოვრობდა, მისი სიმაღლე 7-8 მეტრს აღწევდა.

დღეს გავრცელებული ყველაზე მაღალი ფრინველი—სირაქლემა დიატრისასთან შედარებით ბელურასოდენა თუ გამოჩნდება.

პასუხები ლ. ბოლსტოცს ამოცანებზე

1. მექედემ, მიიღო რა ყალბი ოცდახუთმანეთიანი, ხალო სამაგიეროდ, ათმანეთიანი ქუდი და 15 მანეთი ხურდა გასცა, იზარალა 25 მანეთი.
2. ორი უკანასკნელი ხუთეულის შეერთებისას პირველ გამოცდებულს 10 ქლიავი ჰქონდა დარჩენილი, რომელიც ხუთი კაპიკი ღირდა, მაგრამ გაყიდული იქნა ხუთი ქლიავი ორ კაპიკად. მაშასადამე, კაპიკი წააგო.



პასუხები


კ რ ო ს ვ ო რ დ ი

- შორიზონტალურად: 1. ვერტიკალურად: 2. ეტნა; 3. იარღი; 4. ოსი; 5. ომი; 6. არალი; 11. ვერნი; 13. თუთია; 14. ურალი; 18. ბრომი; 20. ირანი; 23. ობი; 24. აზია; 25. ფრი.
1. ირემი; 7. „დაისი“; 8. ამური; 9. ოდა; 10. „ალი“; 12. რუსთავი; 15. რომი; 16. მათია; 17. კამა; 19. სუმატრა; 21. ერი; 22. ორი; 26. ამება; 27. ურანი; 28. აბაშა.

გამოცანა

ღრუბელი.


თავსატეხნი ფიცრის ეს ნაჭერი იყოფა ოთხ თანატოლ ნაწილად ისე, როგორც ნახაზზე ნაჩვენებია.



„ПИОНЕРИ“ журнал ЦК ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина.

№ 12, 1960 г. Тбилиси, пр. Плиханова, 91. Тел. 3-81-85

სსრკ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „მედიკალი“. | რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის ქ. 91. ტელ. 3-81-85
 ფე 08005. ტირ. 23.000. პირ. ფორ. რაოდ. 41,21 ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 7/XII-60 წ. სტამბის შეჯ. 1965. გამომც. შვედ. 839. საქ. კაცის გამომცემლობის
 აქ „კომუნისტი“. | რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | ფანი 2 მან.



ფოტოგრაფი ა. შავიანიძისა





ფოტოგრაფი დ. იაკობაშვილისა



ფოტოგრაფი ა. კალანდარიძისა

იზაბელა მანანა ჯეჯილიძე



ვაიუდები თბილისზე
ელი მოსაი (ლატვიელი მხატვარი)

